75
1918

ნაპერწკალი

სკოლამდელი აღზრდისა

1918

№№ VII & VIII 1918 წ.

მოზრდილთათვის

ნოემბერი და დეკემბერი.

ნაპერწალი

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მე-XIV. №№ 7—8. 1918 წ.



ძნელი გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა * თბილისი * ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ძნელი გაკვეთილი,—სურათი 1

II—ლოცვა,—ლექსი ი. მჭედლიშვილისა 3

III—ზოგი ჭირი მარგებელია,—ტქვიტისა 4

IV—ნიავი ფიქვ-ნაძვნარში,—ლექსი, სიხარულიძისა . . . 9

V—მოგონებანი—ქალაქში,—გაბრიელ გოგუაძისა 10

VI—ლომას ჩივილი,—ლექსი,—ელიოზიშვილისა. 23

VII—ტროადის ომი,—პიესა ერთმოქმედებად გადმოკეთებული ჰელგიას კანდელაკის მიერ 25

XIII—ბულბულთ ხელმწიფის ასული,—ხალხური ზღაპარი გალექსილი (შემდეგი) დავ. კასრაძისა 34

IX—უცნაური ყმაწვილი,—კენტისა თარგმანი ნინო ნინიძისა . 45

X—გიორგი მათეშვილი—ილია ნაკაშიძისა 52

XI—თამარ მეფის დრო, (დასასრული)—ი. ანთაძისა . . . 55

XII—გასართობი:—შარადები 63

XIII—რედაქციისაგან 64

სტამბა-ლიტოგრაფია საქართველოს დემოკრატიულ რეპუბლიკის რკინის გზისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ ო ც ვ ა.

ღმერთო, მიცოცხლე სამშობლო,
გემუდარები გულითა,
მიცოცხლე სახელოვანი
თავისი წმინდა რჯულითა.
იმან მაწოვა ძუძუ მე,
მადლიანი და რძიანი,
იმან გამრია სოფელში
უჩინარი და გვიანი...
ღმერთო, მიცოცხლე სამშობლო,
იესოსავით მტრიანი,
ბევრჯელ ჯვარცმული მტერთაგან,
ბევრჯელაც აღდგომიანი.

ი. მჭედლიშვილი.

ზოგი ჭირი მარგებელია.

ბაბოლავებულ ურემზე გოგოები საღამო ჟამზე ახლად მოფრენილ შოშიებივით ერთად შეხუნზლულიყვნენ და ისეთი ჯიჯინი გაჰქონდათ, რომ მთელ უბანს აყრუებდნენ. ურმის გვერდით მთასავით აკოკოლავებულ ქვების ხროვას ქეთო ზედ წვერზე მოჰქცეოდა და მთვარის ამოსვლას იქედან ელოდა. შორი ახლო, საბძლის გვერდით ზვინად დამდგარ ნაგავს ცეცხლი ეკიდა და ჩუმად იხრჩოლებოდა. როცა ნიავი წამოუბერავდა, ნაგავი უცებ გაჭყეტილ ცეცხლის თვალს ქეთოს უზამდა და ამავე დროს მისკენ გაქანებული ბოლიც გარშემო ისე ეხვეოდა, რომ დაუწყნარებელი ქეთო იმ ბინდ-ბუნდში უცებ შენათებულ ცეცხლის შუქზე ლეჩაქით მოსილ მოჩვენებას წააგავდა.

ბავშვებს მთვარის შუქზე უყვარდათ ლხინის გაჩაღება და სანამ მთვარე ამოვიდოდა ურემზე თავმოყრილნი ათასი ამბით ერთმანეთს გულს ურთობდნენ.

— არიქა, გოგოებო! ამოდის, ნათდება, დახე, დახე, რა დიდია, რა ლამაზია,—წამოიძახა ქვებზე მდგომმა ქეთომ და გაშუქებულ მთვარეს ტკბილი ღიმილით და გაბრწყინებულ სახით შეეგება.

— შენ, ეი, ნუცა! გასწი ის ოხრად დასარჩენი ხოკერა დროით გამოიტანე, აქამდინ ვერ გაახურეთ, თქვე უბედურებო!? ანაღვლე! დილით მაგდანა იმ ხოკერათი ნაგავსა ჰყრის და საღამოთი კი იმაზე დაკრულ ლეკურზე მე მაკუნტრუშებენ... ეი! თეთრად თქვენი სარეცხი! რა იყო, რა დაგემართად, ეგრე ძლიერ რა გაკისკისებთ?—წამოუტია ახლა ურემზე მსხდომ გოგოებს, რომელთაც ამ წამს რაღაზედაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეოხუნჯათ და სიცილ-ხარხარის დროს ახლად ნაყარ ფუტკარივით ისე დაუწყნარებლივ მოძრაობდნენ, რომ ურემს სულ ჭაჭა-ჭუჭი გაუდიოდა.

— შენ ეი, ჭინკა, ის რა გიქნია, კიბორჩხალასათვის რა საქმე დაგიწევია?!.—შესძახეს ქეთოს ერთხმად გოგოებმა და უარესად ახმაურდნენ.

— რა მიქნია, რას ლაპარაკობთ?! განგებ გაიტრიზავ ქეთომ, ვითომ არაფერიაო, და ძირს ჩამოსული შიგ შუა გოგოების ხროვაში შეიჭრა.

— როგორ იყო, კიბორჩხალას, ბარძაყიდან სისხლი როგორ დაადინე?!.

— ჰოო... მაგაზე კვდებით სიცილით?!. ღმერთმანი ჩემი ბრალი არ არის, თამრომ, აი, თამრომ ხომ კარგად იცის— მოჰყვა ქეთო, როცა ჭავლზე კარგად მოეწყო.

— ისე იყო, ის შეჩვენებული ჩვენი კლასის დამრიგებელი, მართლაც ნამდვილი კიბორჩხალა, ჩემზე გადმოკიდებული, რომ სულის დგმა აღარ იყო, მიჭირებდა საქმეს; აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა; რაც უნდა კარგი მეფიქრა და გამეკეთებინა, იმას სულ თვალში ეკლად ედებოდა, ოიმე! ვინც ეს კლასის დამრიგებლობა მოიგონა, ჩემი ცოდო ედოს. მერე ის ოხერი, სწორედ ჩემ გვერდით კედელთან დაიდგამდა სკამს, რომ ახლოდან უფრო სული კარგად შეეხუთა. გაკვეთილების დროს, თუ ჩემთვის დაფიქრებული როდისმე ჭკვიანად ვიჯექი, ის გაბრაზებული დათვივით მუდამ ჩუმათ შემომბუტბუტებდა—ყური უგდე, ინდაურივით ნუ გაშტერდიო. თუ ჩემებურად კაი გუნებაზე ვიყავ, და ვაი ჩემი ბრალი, მუჯლუგუნებით მქონდა გვერდი გამონგრეული. აღარ ვიცოდი რა მექნა, გვერდიდან როგორ მომეშორებინა, რომ მუდმივ ჯოჯოხეთისთვის თავი როგორმე დამეღწია. ბოლოს რომ ველარ გაუძელ, ავდექი და მეც ხერხს მივმართე. ერთხელ პირველ გაკვეთილს შემდეგ ისე ძლიერ გამაჯავრა, ამხანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებთან ისე ძლიერ დამწყვიტა გული, რომ ვერ წარმოდგინა მეორე გაკვეთილზე იმისი ახლო ჯდომა როგორ უნდა მომენელებინა. მეორე გაკვეთილად გეოგრაფია უნდა გვქონოდა და იმ საგნის მასწავლებელს, ბატონ გიორგის, ეს ჩვენი კიბორჩხალა ცოტა არ იყოს რაღასაც ეპრანჭებოდა. ავდექი და მეც ამით გადუხადე. გვერდიდან რომ მომეშორებინა იცით რა მოვიგონე? ნევსი შუაზე გადაუტეხე და წვერიანი ნახევარი სკამზე ისე დავამაგრე, რომ თვალით არა სჩანდა. მე კი წიგნი გადავშალე და მასწავლებელი რომ შემოვიდა, ისე დინჯათ დავჯექი, თითქოს ჩემზე ჭკვიანი იქ არავინ არ იყო. ამ დროს კარებიც გაიღო და ჩვენი კიბორჩხალა, ფეხაკრებით როგორც მწყერი, მასწავლებელს წინ ისე გაუგოგმანდა. ჯერ ერთი თვალით ყველას ამაყად გადმოგვხედა, შემდეგ სკამზე რომ ცივად დაეშვა, უცებ ისეთი ხმაურობით წამოვარდა, რომ მთელ კლასს თვალები დაჭყეტილი დარჩა. შეგირდებმა ფხუკუნი მორთეს, მასწავლებელმა, ვითომ ვერა გაიგორა, მორცხვად თავი ჩაღუნა და ის კი, ის ჩვენი კიბორჩხალა... ჰო, ჰო, ჰო! ჰო! რა მოუვიდა. ისე გაბრაზდა და ისე გაწითლდა, როგორც კარგი ჭარხალი. თანაც უიმისოდაც დაღრეჯილი სახე, ისე ძლიერ დაღრიჯა, რომ სწორედ იალბუზის ტარტაროზს დაემზგავსა. გაგიხარიან, მაშინ კი იკადრა კარებისაკენ მოცოცხვა, მაგრამ გაკვეთილის შემდეგ მთელ კლასს და განსაკუთრებით კი მე რაც დღე დამაყენა, ღმერთმა ისეთი წყალობა ნურც თქვენ მოგაკლოთ. იმ დღიდან ძველი ხურჯინივით უარესად ჩამომეკიდა ბატონო და სისხლი გამიშრო, სისხლი!..

მაგრამ იცით, რა გითხრათ, ღმერთმა უშველოს, წრეულს ჩემი მეორე კლასში გადაცოცებაც სწორეთ რომ გითხრათ იმის ბრალია. ხომ გაგიგონიათ, ერთი ჭირი მარგებელიაო, მეც სწორედ წრეულს იმისი შარი ხეირად მექცა.

თამრო, ხომ გახსოვს, ანგარიშის მასწავლებელი ძლიერ ავად რომ გაგვიხდა, გახსოვს, ხმაც რომ დაუყარეს მოკვდაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო და იმ დღეს ეს ქალბატონი ისეთი გაბრაზებული შემოვიდა, რომ რა სთქვას კაცმა, სიმართლე რომ მოგახსენო, ჩვენი კლასი მუდამ გადარეულებით იყო სავსე და განა როდისმე მოიშლიდნენ ხმაურობასა და დავიდარაბას. ჩვენ იმ დღესაც ჩვეულებრივ ხოჯის აბანო გვქონდა გამართული და შემოვიდა თუ არა ეს ქალბატონი, ერთი ისეთი დაგვჭყივლა, რომ როგორც მწყრები ყველა ისე გავინაბენით.

—არც კი გრცხვენიანთ, ქალბატონი ნინო თურმე ძლიერ შეწუხებულია, და თქვენ კი ასეთი ამბავი გაქვთო.— დაათავა მან და მეტი მღელვარებით თვალზე ცრემლიც კი მოერია.—ძლიერ შეწუხებულიაო, გაიგონეს თუ არა, კლასი უცებ სამარესავით გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ სიჩუმეში რაღაც სლოკინივით მომესმა და რომ გავიხედე—დავინახე რომ ზოგიერთ ჩვენ მატაოცებს წრიპინი მოერთოთ, ზოგს თვალები დაჭყეტილი და პირი დაღებული დარჩენოდათ, ზოგი კი ისე სასაცილოდ იღრიჯებოდა, რომ ტირილის მაგივრად მე კინაღამ სიცილი წამსკდა. მაგრამ აქეთ-იქით კიდევ რომ გავიხედე და ჩვენ კიბორჩხალას უცებ მოკრიალებულ თვალებს რომ შევეფეთე—კინაღამ გული გამისკდა; ისეთი დაბღვერილი, ისეთი ბოროტი თვალებით მიცქეროდა რომ ჰა, შიშით სული გამეპარა. შევხედე თუ არა შეშინებულმა უწინ ის გავიფიქრე, არიქა მეც უნდა ვიტირო, თორემ ჩემი საქმე ცუდათ არის მეთქი, რადგან იმ შემთხვევას ხელზე დაიხვევდა და თავად ჟგულო ხეს მეძახდა და მერე ხომ უფრო საქმეს გამიჭირებდა. ახლა რაღა ვქნა, უნდა ვიტირო, მაგრამ ეს ოხერი რომ არ მეტირებოდა! ბარემ ხან ერთს შევხედავ, ხან მეორეს, მინდა რომ იმათმა საწყალმა გამომეტყველებამ მეც ამატიროს. ხან ბარძაყზე მწარედ ვიჩქმეტავ, მაგრამ გამიწყრა ღმერთი და ერთი ცრემლიც ვერ მოვიგვარე. ბოლოს მკვდრები მოვიშველიე და უეცრად ჩემი პატარა ძმა კუბოთი და მას გვერდით სიმწარისგან დაკვლანჯული დედაჩემი თვალ წინ ნათლად რომ დავიხატე - მოვრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოე, ბატონო, ღრიალი და ვიღა იყო ჩემი გამჩუმებელი. ახლა რომ მომეხვევნენ და დამიყვავეს—ტირილმა უფრო ისე ამიყოლია, რომ უცებ თავ-ბრუ დამეხვია, თვალთ დამიბნელდა და ჰერი გიდი, გულიც თურმე წამსვლია. ღმერთმა უშველოს იმ გულის წასვლას, როცა მასწავლებელი კარგად გახდა და უამბეს, თქვენი მძიმე ავადმყოფობის გაგებით ქეთოს გული წაუვიდაო—ის იმ დღიდან ისე ყურადღებით მექცეოდა, ისე მშველოდა, ცალკე მასწავლიდა და ბარემ ძლიერ ხელს მიწყობდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ბატის ამბავი, მე მაინც ვერა გავიგერა და ის ოხერი ანგარიში ახლაც ჭირივით მეჯავრება. მაინც პირობით გადამაცოცა, ზაფხულში იმეცადინეო, მაგრამ აი, ხომ ხედავთ ურწყავებში რა გულიანად ვმეცადინეობ. ღმერთმა უშველოს იმ ჩვენ კიბორჩხალასაც, იმისი ამოჩემება ასე კეთილად კი მექცა, სამაგიეროთ იცით გოგოებო, რა გითხრათ, იმ ჩემსავე ნაჩქმეტ წვივებზე ორი კვირა სულ ერბო და კარაქი ვისვი, რომ ლურჯათ დაჩითული ხორცები დამშუშოდა... მაგრამ დაიცათ, აგერ დაირაც მოდის! თვალი იმათაც დაუდგებათ... აი დამინახეთ, სოფლად, ანგარიშის სწავლა როგორ უნდა... ტაში ქალო!..

დაირის ხმაზე ურმიდან უცებ წამოხტა ქეთო, წამოშლილი გოგოებიც ერთ წამს კრიალოსანივით გარშემო დაკრიალებულ კარ-მიდამოზე შემოიმწკრივა გაშალა ხელი და მთვარის შუქზე როგორც ბზრიალა ისე კოხტად დატრიალდა. ქეთოს თან ამხანაგივით თავისივე ჩრდილი გიჟურად აჰყვა და მასავით დაუწყნარებლად წინ და უკან ცქრიალს მოჰყვა.

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიავი ფიჭვ-ნაძვნარში.



ბგაზაფხულის დილა არის,
დაჰქრის ცელქი ნიავ-ქარი,
მთების მკერდზე დარაზმული
თრთის, ტორტმანობს ფიჭვ-ნაძვნარი...
ტყე შრიალებს, ტყე შიშინებს,
ლურჯ მკერდს არხევს, აბიბინებს,
წარმტაცად ჟღერს ფოთოლთ ქნარი...
ვიშ, მუსიკა ისმის წყნარი!..
ნიავი ჰქრის... ფიჭვ-ნაძვნარი
აირხევა, დაირხევა,
ლურჯი კაბა მოქნილ ტანზე
აქეთ-იქეთ მოეხვევა,
ხან ფიჭვები დაღლილ რხევით
ნაძვებისკენ გადიხრება
და ტოტები ტოტებს კრძალვით
ჩაეწნება, გაეყრება...
ღელავს ლურჯი ფიჭვ-ნაძვნარი,
ხან ჯგუფ-ჯგუფად აზვირთდება,
ტყის შრიალის საამო ხმა
აქეთ-იქეთ მთებს აწყდება,
და მოივლის არე-მარეს,
ყრუ ხევ-ხევებს გააფხიზლებს,
ნიავ-ქარი ფრთებით ამტვრევს
კლდით გადმომსკდარ კამკამა წყლებს.
ბოლოს ბრძოლით, მუდამ ქროლით
დაიღლება ნიავ-ქარი,
დაღლილ ტოტებს ძირს დაუშვებს
და ისვენებს ფიჭვ-ნაძვნარი.

ი. სიხარულიძე.

მოგონებანი*)

ქალაქში.

II

ბულ მომთბარი და დამშვიდებული ხომ მაინც არ ვიყავი და სკოლამ პირველ დღეებიდანვე სულ შემაძულა ქალაქი.

რა იმედებით მიმაბარა მამამ აქ, როგორი წარმოდგენა მქონდა აქაურ ცხოვრებაზე და რას ვხედავდი სინამდვილეში!

როცა სასწავლო ოთახის კარებს მივადგებოდი, მაგონდებოდა ბნელი, ნესტიანი ხრამი, სადაც მზე ვერ აწვდენს სხივებს, და შავ კლდეებს ხავსი მოჰკიდია. მწყემსობაში ხშირად მიხდებოდა ხოლმე ასეთ ხრამებში გავლა და ყოველთვის მაჟრჟოლებდა, სუნთქვა მეხუთებოდა და ვჩქარობდი მალე გამოვსულიყავ მზეზე.

ახლაც ისე იყო, მაგრამ მზეზე გამოსვლას ვინღა იფიქრებდა... ან კი სად იყო მზე!

— განა შევსძლებ ამდენი წელი გავატარო აქ?—ვეკითხებოდი თავის თავს, თითქო საპყრობილეში ვიყავი ჩასმული.

სხვა ბავშვები შეჩვეოდნენ ყველაფერს და თავდავიწყებით თამაშობდნენ დასვენების დროს. გაკვეთილებზე კი დაღვრემილი მიდიოდნენ, ძლივს მიათრევდნენ ფეხებს, თითქო ბეგარა ჰქონოდათ მოსახადი.

— აქ უნდა დავწინაურდე და გავბედნიერდე?

---

*) „ნაკადული"—თებერვალი 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალონებული ვშორდებოდი ბავშვებს, მივეყრდნობოდი ლობეს და გულ-ამომჯდარი შევყურებდი საყვარელ მთებს.

რა მშვენივრად ამოუხატავს ბუნების ხელს ეს მთები, ლაჟვარდი ცის ტილოზე—საუცხოვო ხაზებით დაუსერავს დიდებულ მხატვარს ძვირფასი ტილო და არ დაუზოგავს ფერადობაც, რომ ცის მნათობთაც კი შეაყვაროს დედამიწის მშვენიერება. და მართლაც მზეს და მთვარეს ეს მთები აურჩევიათ გზად: ამოსვლისას, იმათი მწვერვალებიდან მიესალმებიან ხოლმე ქვეყანას. ცისკრის ვარსკვლავიც ჩასვლისას აქ შეჩერდება, თამაშობს და იცინის კეკლუცი და დილის სიოს სალამს აბარებს ყანაში მიმავალ მუშასთან. უგზო-უკვლოდ მოხეტიალე დაქანცულ ღრუბლებსაც უყვართ ამ მთებზე დასვენება: სალამოს, როცა მზე ჩადის, უშიშრად წვებიან ხოლმე მწვერვალებზე, ზანტად იკლაკნებიან და ემზგავსებიან ათას გვარ საშიშარ მხეცებს... მაგრამ ჩამავალი მზე ისე არ დაუძლურებულა, რომ უხვად ვერ მიაყაროს სხივები...

და აჰა—ცეცხლის ალში გახვეულან არეული ღრუბლები, და ასე გეგონებათ—ოქროს გვირგვინით მოკაზმულან მთები და ემზადებიან მთვარის შესახვედრადო.

შევჰყურებ ამ მთებს და მავიწყდება მარტოობა.

და აგერ კიდევ ჩემს წინ, სკოლის ეზოში, მიჰქრის პატარა მდინარე, იმ მთების შვილი, ნაძვნართ ცრემლით ანავსები, ჩუხჩუხა და ანცი,—მიჰქრის და ბუტბუტებს, თითქო ესაყვედურება თავის ბედს, რომ უწმინდურ ქალაქში არგუნა გავლა, ებრძვის ქვებს და ცოტა იქით,—იმედით, რომ ადრე მიატოვებს ქალაქს და თავისუფლად გაინავარდებს მინდვრებსა და ყანებში,—მშვიდდება, წყნარად ჩუხჩუხებს, ეალერსება ნაპირად აღმოცენებულ ბალახს და მოუთხრობს მთის ზღაპრებს.

— ნეტავი მეც შემეძლოს შენთან წამოსვლა, ჩემო ცელქო!—ვოცნებობ და დავიწყებას მივეცი სინამდვილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Пошли въ классъ. скоты, пошли, пошли мутрукъ паршивый!—ამ სიტყვებით ერთი აღმზრდელი მიერეკება ბავშვებს გაკვეთილზე, და მეც გონს მოვდივარ.

სადღა იყო „დიდ-კაცური“ ცხოვრება,—ვის შეეძლო გაკვეთილების შემდეგ,—როგორც წარმოვიდგენდი—თავმომწონედ ჩამოვლა ქალაქის მოედანზე და ბინაზე მოგვიანებით „მოპაკურება“. სხვა მიზეზიც რომ არ იყოს განა შეიძლება ქალაქის მოედანზე გავლა, როცა ეს წყეული საწიგნე-ქეჩხო აქაც მაქვს ზურგზე მოკიდული? სხვა თუ არა, ქუდი და ქამარი ხომ ახალი მქონდა, მაგრამ ძველ ქეჩხოსთან ამათაც დაეკარგათ სილამაზე—სხვისი მაინც უკეთესად მეჩვენებოდა. ასე წარმოიდგინეთ, მიხვრა-მოხვრას და სიმარდესაც მაკლებდა სამარცხვინო ქეჩხო: ქუჩაში ხშირად წავიკრავდი ხოლმე ფეხს, დავეცემოდი და ჩემი ქეჩხოც ბრახვანს ადენდა მტვერში.

— მადლობა ღმერთს, რომ მარო არ ხედავს მაინც,— გავიფიქრებდი, როცა დიდი და პატარა დამცინოდა, და ათასნაირი შენიშვნა მესმოდა ქეჩხოზე.

— მგელმა რატომ არ დააძლა იმ თხას, რომელმაც შენ გატარა!—კბილების კრაჭუნით ვეუბნებოდი გამტვერიანებულ ქეჩხოს.

კარგად მორთულიც რომ ვყოფილიყავი, მაინც სად მქონდა სეირნობის დრო: სადილის მზადება ჩემი მოვალეობა იყო და სასწავლებლიდან პირდაპირ სახლში უნდა გამოვქცეულიყავი. მოქანცულს და მშიერს უნდა გამეჩალებინა ცეცხლი, გამეხურებინა კეცი...

— სწორედ რომ ბედნიერების გზაზე დამაყენა მამამ!— დავსცინოდი თავს:—დედის გამოცხობილი მჭადი თუ ენანებოდა ჩემთვის, არ მეგონა და ახლა ხომ დავრწმუნდი ამაში.

გარშემო აუცილებლად ტრიალებდა ტიტველი წიწილი, მახტებოდა ხელში, მართმევდა ცომს და მხიარულად ჭუკჭუკებდა. როცა გაძღებოდა, მიადგებოდა ბუხარს, ითბობდა მკერდს და სთვლემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუქთა მჭამელავ, გარედ ჩქარა!—ვუწყრებოდი, მაგრამ ის ზანტად შემომხედავდა ცალი თვალით და ისევ უშიშრად განაგრძობდა თვლემას.

არწივის სიკვდილის შემდეგ, ის იყო ჩემი გასართობი და ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს დამიხვდებოდა ხოლმე ბინის კარებთან.

— ქაჩალავ, შენია ახლა ბურთი და მოედანი—აღარაფრის გეშინია,—დავსცინოდი.

მართლაც და ორ ეზოს, დაპატრონებოდა, ცოტა აკლდა ეგნატე-რუსის ეზოშიც გადაცოცებულიყო და ჯერ კი ვერ გაებედა: ალბათ, ჯერ კიდევ ჩამოუხსნელი არწივის გალია აშინებდა. როცა არწივის წივილი ესმოდა, ძლივს დაძვრებოდა ბალახში და ჩემთან შიშით თუ შამოიპარებოდა ზოგჯერ, ახლა კი იმის მოლოდინში ვიყავი, როდის გადმოათრევდა ეგნატეს ეზოდან არწივის თავს!

სხვა ვითომ არ მეყოფოდა და სადილზე ხშირად საყვედურიც შემხვდებოდა:

— ბიჭო, ფქვილის ღომი წირეხივით*) უნდა იყოს და შენ კი უბრალო ცომი მოგიზელია,—მეტყოდა ხოლმე ამხანაგი. ან ასე:

— ნახშირს ხომ არ სწვავდი, რომ დაგიხრუკავს აი მჭადი? დღეს მამა-ჩემი გამოივლის სადილად და ნახშირს ხომ ვერ ჭამს?

— მამაშენს შავი ქვა,—ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ დამეყვირა.

—

დამეგობრებული აქ არავისთან არ ვიყავი. საერთოდ ქალაქის ხალხი მიუკარებლად მეჩვენა. სად იყვნენ ოქროპირმენავე, ფარნაოზ მეწისქვილე და ტარიელი! სოფელში უცნობებიც კი მეუბნებოდნენ—„გამარჯობა შენი, ბიძიაო“ და

*) თხილის წნელს გრეხენ და თოკის მაგივრად ხმარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ერთი „გამარჯობა“ მაინც გამეგონა! სულ დამამცირა ქალაქმა. თავი არაფრად მეჩვენებოდა.

— ნეტავი სანდრო სლაბოდკელთან ვიყო დაახლოებული,—ხშირად გავიფიქრებდი ხოლმე:—მაშინ ხომ მომაქცევენ მაინც ყურადღებას.

სანდრო სლაბოდკელი 13—14 წლის ყმაწვილი იქნებოდა, მაგრამ იმას ყველა იცნობდა და ისე ექცეოდნენ, როგორც დიდს. პატარა ტანის, გამხდარი, მაგრამ მეტის-მეტი ცქვიტი და გაბედული--ასეთი იყო სანდრო. მოკაუჭებული ცხვირი და ღრმად ჩამჯდარი, მელანივით შავი და მუდამ ანთებული თვალები არწივის გამომეტყველებას აძლევდა მას. ის მარტოკა ცხოვრობდა ქალაქის ერთ მიყრუებულ ნაწილში—სლაბოდკაში, პატარა მიწურ სახლში. დედა ადრე გარდაცვლილიყო, და მამა ერთი წლის უკან დაეხვრიტათ.

ბევრი რამ მესმოდა სანდროზე. ვინ ამბობდა,—ცხრა წლის იქნებოდა, როცა ბნელ ღამეში ჩაიპარა საპყრობილეს ეზოში, ავიდა ფანჯარაზე და დატუსაღებულ მამას ქლიბი ჩაუგდო ბორკილების გასაჭარადო.

სანდრო ქუჩებში ბებუთებს ჰყიდდა და ამით ირჩენდა თავს.

ძალიან მომწონდა იმის დამოუკიდებლობა.

—

ქალაქს გვერდით მდინარე ჩამოუვლიდა. ამ მდინარეზე გადიოდა ჩვენი სოფლის გზა, მიჰყვებოდა ფართო, დაუსახლებელ ვაკეს და შედიოდა ტყეში. ხშირად დავდიოდი ამ მდინარეზე, ჩამოვჯდებოდი ნაპირას ხის ჩრდილში, გადავათვალიერებდი გაკვეთილებს, მერე ვისროდი წყალში კენჭებს და ვიცქირებოდი სოფლისაკენ. ზოგჯერ ნაცნობებიც გამოივლიდნენ გზაზე, უფრო ხშირად კი იმ მოურავს ვხედავდი, რომელსაც ზურგით ინდაური მივართვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ აჩენილ ჩრდილში ვიღაც მოხუცებული დავინახე გახუნებულ ნაბადზე წამოწოლილი. ზურგზე ქეჩხო ეკიდა და ჩაფიქრებული დასცქეროდა წყალს.

ვიცანი და გამეხარდა.

— გამარჯობა შენი, ტარიელ!—მივესალმე.

— გაიზარდე,—ძლივს მიპასუხა და მოიხედა:—ოჰო... ჩემს თიკრიკას გაუმარჯოს! მოდი, ბაბუავ, დაისვენე... მგონებოდა—ბუბლიკას (ბლითს) გიყიდდი და ახლა რაღაი. ხომ სწავლობ, ბაბუავ, კარგად?

— კი ვითომ...

— ვითომ რაა?!. მაი გაპრიალებული ვარსკვლავი რომ გაქვს ქუდზე—მაგას ვითომ ეკადრება?—ეწყინა.

— არა... კარგად ვსწავლობ.

— აბა რა გინდა აქ ტყულაი?.. მამაშენი თითითაა ჩამოკიდული—იმდენი საქმე აქვს—და იმას მოეხმარე, თუ არ ისწავლი.

— ჩვენსას ხომ დადიხარ, ტარიელ?

— გუშინ გამოვიარე, ბაბუავ გუშინ. კარგად არიან.

— იგი შინ ხომაა... მარო?—გაუბედავათ ვკითხე.

— რომელი მარო, თიკრიკავ?

— №-ის მარო რომაა—იგი.

— შინაა აბა სად წავიდოდა... დაპეპელობს ეზოში და არის. მერე?—მკითხა და ღიმილით გადმომხედა.

— არაფერი... ისე ვიკითხე.

— მაგას ქე დავეთხოვოთ, ბაბუავ, და მარაფესტი გამოვიდაო, სოფელს მიწა ურიგდებაო—ამის ხომ არ წაგიკითხავს რამე ან გაგიგონია?

— არაფერი.

— კი მითხრეს, მარა განა იქნება რამე? მარაფესტი და მიწა იქნება იგი თუ მთლათ არ დაგვახრჩობენ. აგერ საწყალი ზალიკაი რომ ჩამოიყვანეს ღღეს გაბაწრული და ჩაასამარეს ციხეში—ამას გაუბედავდენ, მარაფესტი რომ იყოს?—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოოხვრით დაამთავრა ტარიელმა, გადატრიალდა და შეხედა მზეს, რომელიც ზეწნის ფოთლებში სცრიდა სხივებს და ოქროს ბადეს აბლანდავდა ბალახზე.

— რომელი ზალიკაი, ტარიელ?—ვკითხე.

— ზალიკა ტურამუსაიფაი, არ იცი? ორი წლის საყანური არ გადაგიხდიაო,—დააბრალეს. ღმერთი, ხატი—გადავიხადე, ჩემი ურმით ჩავიტანე და მივართვი ქალბატონსო, მარა ვინ დაუჯერა. რაშტიელაის დანაწერი კვიტანციე გვიჩვენე აბაო. ზალიკამ რა იცოდა, თუ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მოსდებდნენ შარს, და იმ ბარათებით თუთუნს მოუკიდა თურმე, მიაყუდა მოურავმა ნალიაზე კიბე—ძალით უნდა წავიღო სიმინდიო. შეიქნა წივილ-კივილი... გამოცვივდნენ უპერანგო ბალნები. ვინ მოგცა, შენ წუწკო, ჩემი ოჯახის მოთხრის ნებაო,—იყვირა ზალიკამ და გაპარპალებული წალდი სჭექა ლოყაზე... მოურავი აქეთ გადმოტრიალდა და მისი ყური იქით გაგორდა... აგია—დღეს გამომატანეს ამის ლაპორტი. ასე იყო აი ამბავი, ჩემო ბატონო... მოდი ახლა შენ და მარაფესტს ელოდე... მარა იმას მაინც არ დავიჯერებ, რომ საწყალი კაცის დღე არ გათენდეს,—ჩვეულებრივად იმედით გაათავა ტარიელმა, წამოდგა, მოიდო ნაბადი და გაუდგა გზას.

— მშვიდობით, ბაბუავ, მშვიდობით,—მოიხედა და დამიქნია თავი. ვიდექ ჩაფიქრებული და უცქერდი მიმავალს, სანამ ტყეში არ მიიმალა. უფრო მოხუცებულად მეჩვენა ტარიელი: სულ გამხდარიყო, თვალები ჩასცვივნოდა, კუზი აწეულიყო, დაგლეჯილ ქალამნებში ჩაკრული ფეხები ერთმანეთს ეხლართებოდნენ... ეს ცოცხალი განსახიერება თვით გაჭირვების და უბედურებისა, „კანონ-ლაპორტით“ ზურგზე, კვლავ განაგრძობდა ხეტიალს და დაჰქონდა მწარე სინამდვილის სამწუხარო ამბავი.

შემაწუხა ზალიკაის თავგადასავალმა. არ ვიცოდი რაი მეშველა, იმ საღამოსვე წავედი სანდრო სლაბოდკელთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა რა ვუშველო... ცოტა მოიცა და გადაუხდი— არავის შევარჩენ წვალებას... გავიზარდო აგერ!—დამპირდა:—მერე გგონია—ყველა გაბედავს გაქცევას, რომც შეეძლოს? ჰეი-ჰეი! ჩაკვდება ძაღლივით და ვერ გაბედავს—ბრძანება არ გამოსულაო! აბა, ასეთია კაცი,—დაუმატა და მწარედ ჩაიცინა—ბებუთს მოგყიდი თუ გინდა. უჰ, რა ბებუთია, რა ბებუთი...

— არც მინდა და არც ფული მაქვს.

— ან კი რა თქვენი საქმეა. თქვენ იგიც გეყოფათ მთელი დღე გაძახონ—„ლობიოს იღებენ კოვზით, ძროხას აქვს რქებიო“ და თავში გიჯაჯგუნონ. ნასწავლები!—ზიზღით ამხედ-დამხედა სანდრომ და დაუწყო ბებუთს ლესვა.

ვერაფერი ვერ მოვიფიქრე საპასუხო და უსიტყვოდ მოვშორდი.

—

თვეში ორჯერ, შაბათ საღამოობით, სახლში დავდიოდი. რა სიამოვნებით ჩამოვივლიდი საყვარელ ადგილებს, დავათვალიერებდი და მივესალმებოდი ცხოველებს!

თავ-მომწონედ უამბობდი დებს ქალაქზე, ვთხზავდი და ვაფერადებდი ჩემს იქაურ ცხოვრებას. გულში კი სოფელს შევნატროდი.

დედაც ხშირად მოდიოდა ქალაქში და მოუთმენლადაც ველოდებოდი ბაზრობა-დღეს: დედა ყოველთვის იზიარებდა ჩემ თავისუფლად გამოთქმულს დარდს, მანუგეშებდა და პურსაც ბლომათ დამიტოვებდა. მაგრამ სიკეთეს სიავეც სდევდა და ზოგჯერ ისე შემარცხვენდა, რომ არც პური მინდოდა და არც რაიმე.

— ნენუკიავ, მოდი ერთი გაატარე აი ბატი ბაზარში— იქნება იყიდოს ვინმემ,—ამ სიტყვებით მომაჩეჩებდა ხელში ფეხებ-შეკრულს ბატს. ვითომ და განზრახ უსათუოდ ჩემ ხელში დაიწყებდა წყეული ჭყივილს და ფართხალს, რომ საერთო ყურადღება მოექცია ჩემკენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი შეხედეთ—როგორ ვაჭრობს ქეჩხოიანი! ვინ იმ გაყიდვას! დავდიოდი, როგორც გალვივებულს ნაკვერჩხლებზე და, თუ მკითხავდა ვინმე,—რას ამბობთ... მე თვითონ ვიყიდე-მეთქი, ვეუბნებოდი.

ყველაფერი დამამცირებელი მე რად შემხვდა მაინც? იმაზე უარესი რალა იქნებოდა, სანაგავე ორმოებში და ყუთებში რომ ვიქექებოდი!

ჩამოვივლიდი ხოლმე ბნელ ღამეში სახარაზო დუქნების წინ და ვეძებდი ნაგავში ტყავის ნაჭრებს, რომ დროზე მივშველებოდი დაგლეჯილ წუღებს და ფეხ-ტიტველა არ დავრჩენილიყავი.

უზომოდ შევძულდი ძაღლებს მათი მეტოქე ნაგავზე და საშინელი ყეფით შამომეხვეოდნენ ხოლმე კეტით შეიარაღებულს. დღეც ცუდი თვალით მიყურებდნენ, თითქო ატყობდნენ, ნაგავის დასათვალიერებლად მიდისო. მხოლოდ ერთი ქეციანი, ცალთვალა ძაღლი დამიმეგობრდა,—ალბად იმიტომ, რომ იგიც მოძულებული და დევნილი იყო: მუდამ აგორებდნენ და ღრღნიდნენ საბრალოს. დამინახავდა თუ არა, დაიწყებდა ნახევრად გახდილ კუდის ქნევას, თითქო იღიმებოდა და მაგონებდა:

— კინაღამ არ დაგგლიჯეს იმ წყეულებმა წუხელ... მეც არ ვებრალები—დაავადებული მათი მოძმეო.

— ასე, კოჩა-მამულიე, ასე,—მიწონებდა მამა ხელობას... აგერ,—ღმერთო, შენით,—გადასახადებს თუ გავუძელი და მოვიშორე, საკალანდოთ იმისთანა კრიჭინა წუღებს გიყიდი რომე...—მპირდებოდა მამა..

—

როგორც იყო, ველირსე საშობაოთ დათხოვნას და იმ დღესვე გავეშურე სახლში. გულმაგრად და ამაყად მივდიოდი: კარგი ნიშნები მიმქონდა. განა ხუთი გაკვეთილიც იმიტომ არ გამოვტოვე, რომ ხუთების რიცხვი გამედიდებინა! ვიცოდი, რომ მამა ყველა „პიატებს“ დაითვლიდა და თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩეთირე“ შეხვდებოდა, ხშირად დიდი საყვედური უნდა მიმელო, თუ არა... ბროწეულის წკეპელი! ან იმას როგორ დავუშვებდი,—რომელიმე მოწაფეს გაესწრო და მეტი ხუთები ჰქონოდა?

ჰერი, ბიჭო! შობა, ახალი წელი, ჩიჩილაკი, თოფების გრიალი, საერთო მხიარულება, ხაჭაპურები, ღორის თავი... მაროსაც უსათუოდ დავინახავ სადმე! ავინაზღაურებ, რაც ვეწვალე ამ ოთხ თვეში,—ვარ აღტაცებაში და ვუახლოვდები სოფელს...

ვერც კი შევამჩნიე—ისე დამძვრა ხელიდან ორი კვირა.

თავჩაკიდული ვიჯექი ბუხართან. მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლი და გაუმაძღრად ლოკავდა ბუხრის კედლებს. პატარა ლამპა გამურული შუშით ძლივს ბჟუტავდა მაგიდაზე და ხრინწიანი ხმით იცინოდა, თითქო უხაროდა ჩემი დაბრუნება. ისევ უნაყოფოდ იზეპირებდა ევგენი ბერძნულ გრამატიკას და შეუჩერებლივ ამბობდა:

— ი მახერა პალლაკის ატიკიას ესტინ.

კიდე-ჩამოტეხილი კეცი გამოიყურებოდა კუთხიდან და, ასე გეგონებოდათ, იღიმებოდა წყეული.

გარედ ცივა. მძიმედ დასწოლია დედამიწას ბნელი ღამე. თამაშობენ, ფერხულს უვლიან ცაზე ვარსკვლავები.

დღეს მოვედი სახლიდან. ისევ გაკვეთილები და კეცი!

აღარ შემიძლია, არა.

მეორე დღეს, საღამოს, სახლში ვიყავი. გაუკვირდა მამას, როცა განვაცხადე—ხვალ უქმეა-მეთქი, მაგრამ მაინც დამიჯერა. მინდოდა მეთქვა, რაც გადაწყვეტილი მქონდა, და ვერ გავბედე,—მხოლოდ გაკვრით გავაგებინე დედას.

მეორე დღეს ატირებული უახლოვდებოდი სუფსას.

— რა დავაშავე, რომ ასე შემიძულეს? აბა ნახონ, თუ არ დავიღუპო,—ვემუქრები.

წარმოვიდგინე, რომ მართლაც დავიღუპე... აგერ მშობლები თავს იკლავენ. ვაიმე, როგორ დავღუპეთ კოჩა-მამუ-

ლიეო,—სტირის მამა. ყოველ შემთხვევაში, მე კი ისეთი ლუპვის მომხრე ვარ, რომ ყველაფერი მესმოდეს—ვინ რას ამბობს!

— ეჰე—ე... გეტყობა, გიტირია ჩინონიკ კაცს,—შემნიშნა ოქროპირმა, როცა ნავში ჩავედი:—ჩვენ უნდა ვტიროდეთ, ყაძახები, თვარა პრისთავს და ნაჩანიკს რა ატირებს?.. იგი მითხარი—ჩემი და ფარნაოზაის მენდალი ხომ არ გაგავიწყდა?—დამიწყო ხუმრობა, მაგრამ კრინტიც ვერ ამოვაღებინა.

არ გასულა სამი დღე, რომ პარასკევს, საღამოს, სახლში ვიჯექი და ვთბებოდი ცეცხლთან. დედა ჩაფიქრებული იჯდა მეორე მხარეს და ხელები თავზე შამოეკრიფა. პატარა დები ხტუნაობდნენ და ამბობდნენ:

— თუ არ უნდა ქალაქში, ქე იყოს აგერ შინ. კია, ნუ გეშინია, მსუნაგი თხები სამწყესავი.

დედას გადაჭრით განვუცხადე—თავს მოვიკლავ და მეტი აღარ შემიძლია ქალაქში მოცდა-მეთქი.

— ბიჭო, ეგება უჟმური შეგხვდა ან გაგთვალა ვინმემ... ვაიმე, ვაიმე—ვინა ხარ მადლიანი—წამჭარით თავი,—სწუხდა დედა:—სწავლა და სიკეთე არ მინდაო—ამას გადარეულის მეტი ვინ იტყვის!

მაშ დედის აღშფოთება მოვათავე. ახლა მამაზე იყო საქმე.

— მოდი შეგილოცავ,—მიმართა დედამ თავისს საშუალებას და გახურებული შანთი უგზავნა თვალში ამას და იმას. შემდეგ საცერში გამახედვა, კატას კუდი შეუტრუსა და ცხვირზე მიმადო—წამიფუტა: ამას, მისი აზრით, ვერც უჟმური და ვერც სხვა რამ უწმინდური ძალა ვერ გაუძლებდა.

— რატომ გენანებათ ჩემთვის ერთი ლუკმა გამომცხვარი მჭადი?—თავდაცვიდან გადავედი შეტევაზე.

— მამაშენს უთხარი მასე,—მომიჭრა დედამ.

კატა კუთხეში იჯდა, ილოკავდა კუდს და უკმაყოფილოდ შამოხედავდა ზოგჯერ, თითქო მესაყვედურებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რას მერჩოდით?.. სირცხვილი, თუ ჩემს კუდზე ჰკიდია შენი სწავლის საქმეო!

მამაც მოვიდა. სახეზე ეტყობოდა—გაჯავრებული იყო. სიჩუმე ჩამოვარდა. კატამ მიაშურა კნავილით და გაეფხანა ფეხებზე—შესჩივლა კუდის თავგადასავალი.

— გამარჯობა შენი, ბიჭო!—მკვახედ მითხრა:—ხვალ უქმეა თუ?

— არა.

— აბა? ფული ხომ არ გჭირია?

ჩამივარდა ენა—ველარაფერს ვამბობ. ხრაწა-ხრუწით ვიკნეტ ფრჩხილებს.

მამა მოუჯდა ცეცხლს და გაიხადა ქალამნები.

— რაი და ვერ გავძლებ იქინე—შინ ვიქნებიო,—გასტეხა დედამ ფონი.

— თუ არ უნდა, საქმე ცოტა მაქვს მე? იყოს და მომეხმაროს,—კარგი ხნის სიჩუმის შემდეგ სთქვა მამამ:—ამას არ სდომებია და აგერ ჩინონიკი-კაცი კიდევ კლასში შევიდა,—მოიგონა უფროსი ძმა, რომელმაც მიატოვა სამსახური და სწავლის გაგრძელებას შეუდგა.

— რა კარგია მამა, რა კარგი,—ვფიქრობ:—როგორ ჰყვარებია მისი კოჩა-მამულიე!

გამოვცოცხლდი, გავთამამდი, დავიწყე დებთან ჩუმი მუსაიფი და კისკისი. აწი მე მკითხეთ წყლის ქათმების ამბავიმეთქი,—ვამბობდი.

მამას წარბები უფრო შეეჭმუხვნა და ვახშამს ელოდებოდა, დედა ფილთაქვას არაწკუნებდა და ზოგჯერ ღრმად ამოიოხრებდა.

გამძღარი და დამშვიდებული ჩავგორდი ბუმბულში და იმაზე ვფიქრობდი, სად დამეგო ხვალ მახე.

აგერ ვხედავ—გაბმულა ვებერთელა წყლის ქათამი, მაგრამ დახე ეშმაკს: წყეულს ჩემი ღერბიანი ქუდი ჰხურავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივრბივარ—ვიფუმფლები ფიფქ თოვლში, ვშიშობ—არ გამექცეს-მეთქი.

— ყოჩაღ, ბიჭო!—მეუბნება ვიღაც...

— ბიჭო!—გამომაღვიძა ყვირილმა.

სად იყო წყლის ქათამი—იდგა მამა და შოლტი ეჭირა. ვხედავდი, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ტირილიც ველარ გავბედე.

— ბიჭო, აეთრიე ჩქარა და გაფრინდი ახლავე, თვარა ტყავს გაგაძრობ!

კარგათ გათენებული არც კი იყო. შეფერადებული აღმოსავლეთი ჰპირდებოდა ქვეყანას მზიან დღეს. ზამთრობით მაჭუტას*) რგებოდა ამოგორებული მზის მიღება და ახლაც მოკაზმულიყო შესახვედრათ: ვარდის ფერი ლეჩაქი დაეხურა თეთრ თავზე. მხიარულად ჭუკჭუკობდნენ შაშვები სუროზე.

მოუხედავად გავრბივარ სუფსისაკენ. ტალახი გზაზე გაყინულა—ალარ მაგვიანებს.

— მე ახლავე დაგეწევი,—ჯერ კიდევ მესმის, მამამ რომ მომაძახა.

— ნუ დამეწევა, ნუ, არ მინდა... არ მინდა იმის დანახვა,—ვამბობ გულში:—აწი ნახოს, თუ მივურბინო შინ!

შეურიგდი ყველაფერს და აღდგომამდი სოფლისაკენ პირი არ მიმიბრუნებია...

გაბრიელ გოგუაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) მწვერვალია აჭარა-გურიის მთებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლომას ჩივილი.

ალა წამერთვა მუხლებში,
კისერი მომელალაო;
ვერ იქნა, ველარ დაღეჭეს,
ჩემმა კბილებმა ჩალაო.

კაი ხანია ულელი
არ მდგმია კისერზედაო;
ველარ დავდივარ ხშირ-ხშირად
აღზევანს მარილზედაო.

პატრონიც გადამეკიდა,
მოჰბეზრდა ჩემი მზერაო;
თავიდან მოსაშორებლად
მას უწყო გულმა ძგერაო.

მგონია, ჩქარა მომაბამს
აპეურს ბებერ რქაზედა
და გასასყიდათ გამიგდებს
ჩვენს დიდ ორღობე გზაზედა.

ჩარჩებს ხელთ ჩაუვარდები,
სახრეს გადმომკვრენ ავადა
და სასაკლაოს მაწვევენ
უბედურს დასაკლავადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს იყო ჩემი ცხოვრების
თავი და დასასრულიო?..
მისთვის ვშველოდი პატრონსა
მე დამწვარ-დადაგულიო?!.

ეჰ, ღმერთო!.. მუხლი კანკალებს,
კისერი მომეღალაო;
ვერ იქნა, ველარ დაღეჭეს
ჩემმა კბილებმა ჩალაო.

კაი ხანია, ულელი
არ მდგმია კისერზედაო,
ალარც დავდივარ სრულიად
ალზევანს მარილზედაო.

დ. ელიოზიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროადის ომი.

პიესა 1 მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

აჰამემნონ . . . . . მთავარ სარდალი.

კლიტემნესტრა . . . . . მისი მეუღლე.

იფიგენია . . . . . მათი ქალი.

აქილი . . . . . მეომარი გმირი.

მეომარნი, მსახურნი.

გამოსვლა პირველი.

აჰამემნონ. შემოდის მსახური.

მსახური. (შემოდის) მთავარ-სარდალო, იფიგენია მოდის და საცაა სამხედრო ბანაკს მოაღწევს, როგორც ამომავალ მზეს ხალხი მხიარულად ეგებება, ისე თქვენ ახალგაზრდა ქალს მთელი მხედრობა სიხარულით ეგებება და სალამს უძღვნის. თქვენი მეუღლე კლიტემნესტრაც იფიგენიას თან მოსდევს. თქვენს მეუღლეს, მთავარ სარდალო, სურს ნახოს თავისი სასიძო, ღმერთების თანადარი, აქილი და პირისპირ მიულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოს სიძე - ქალიშვილს მომავალი ბედნიერება. ღმერთო ჩემო! როგორი ბრწყინვალე დღესასწაული მოგველის, დიდებულო მთავარსარდალო, აღსდეგ, მოატანინე ყვავილების კალათები, შეიმოსე თავი ყვავილებით და ნიშნად მადლობისა აღაგე მსხვერპლის შესაწირავი საკურთხევლები ღმერთების სადიდებლად და პატივსაცემლად! (გავა).

ᲐᲭᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜ. (მწუხარებით ამოიოხრებს) როგორ უნდა მოვიქცე ახლა! როგორ უნდა ავაცდინო მე უბედურმა ჩემს ქალს სიკვდილი! რა უნდა ვუთხრა ჩემს კლიტემნესტრას?! შენ, ჩემო საყვარელო შვილო იფიგენიავ, შენ მოდიხარ სამხედრო ბანაკში ღმერთების თანადარი აქილის საპარტაძლოთ კი არა, საიქიოს, იმ ბნელსა და საშიშარ სამფლობელოში; მენელაოს, გამარჯვება შენ დაგრჩება, რადგან იფიგენიას ამიერიდან ელინთა მხედრობის ხელიდან გამოგლეჯა შეუძლებელია! მხედრობა თავის დღეში ნებას არ მომცემს, რომ ჩემი საყვარელი ქალი სამშობლოს საკეთილდღეოდ ღმერთებს მსხვერპლად არ შევწირო. ლამის გული გამისკდეს ჯავრისაგან, სულიერად და ხორციელად დავიტანჯები, როცა ჩემი ქალი მხოლოდ საკურთხევლის წინაშე გაიგებს საზარელ ამბავს, საყვედურით შემომხედავს და მეტყვის: „მამა ჩემო, განა სასიკვდილოდ მიწვევდი?“ (ქვითინებს) იფიგენიას გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია, კიდევაც რომ მოვახერხო სამხედრო ბანაკიდან გაპარვა, ელინთა მხედრობა ერთიანად გაანადგურებს მთელ ჩემს სამშობლო მხარეს და ყველას სიცოცხლეს მოუსპობს. მე მხოლოდ იმას ვეცდები, რომ საბრალო დედამ ეს საზარელი ამბავი იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის შემდეგ გაიგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეოთხე.

იგივე, იფიგენია და კლიტემნესტრა შემოდიან.

ИФИГЕНИА. (მივარდება მამას და ეხვევა. მამა პირს არიდებს) მამავ, რადა ხარ აგრე დაღონებული?

АГАМЕМНОН. ვწუხვარ, რომ მალე უნდა მოგშორდეთ. ახლოვდება დრო, როცა ჩვენ ტროადზე უნდა გავემგზავროთ. თქვენი მოშორება გულს მიკლავს და ძალიან მაღონებს. მანამ მე წავალ, კლიტემნესტრა, შენ სახლში დაბრუნდი, არ შეგფერის სამხედრო ბანაკში დარჩენა

КЛИТЕМНЕСТРА. აჰამემნონ, მე მაკვირვებს შენი საქციელი, მგონი უფრო საჭირო არის ჩემი აქ დარჩენა, რომ საკუთარის ხელით მოვრთო ჩემი იფიგენია, გავაჩირაღდნო სანთლებით და დავსტკბე ქალისა და სიძის ცქერით. (აჰამემნონ გადის).

ИФИГЕНИА. დედა, მე ძალიან მაკვირვებს მამაჩემის ასეთი დაღონება.

გამოსვლა მესამე.

იგინივე და აქილი.

АХИЛЛ. (შემოდის და სალამს აძლევს).

КЛИТЕМН. (მიეგებება) ძლივს ვეღირსე, შვილო, შენს ნახვას, მოხარული ვარ, რომ შენ ჩემი სიძე შეიქენ. ბედნიერება მოგცეთ ღმერთმა. (აქილი გაოცებული შესცქერის.

იგინივე და მსახური.

МСАХУРИ. მთავარსარდლის მეუღლევ, იქნება თქვენ გგონიათ მართლა თქვენი ასული სადედოფლოდ მოუწოდეს აქ, არა, იგი უნდა მსხვერპლად შესწირონ სამშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლოს. გულთმისანმა უთხრა აჰამემნონს, რომ თუ შენ მშვენიერ ქალს ოფიგენიას შესწირავ მსხვერპლად ღმერთებს, მაშინ შენი სამშობლო მტრისგან განთავისუფლდებაო, თუ არა მტერი სულ გაანადგურებსო. (გადის).

აქილი. (გაბრაზებული) ნუ თუ ამისთანა საქციელი ეკადრება მთავარსარდალს!

კლიტემნესტრა. (აქილის წინ მუხლთ მოიდრეკს. ტირის). გევედრები, დიდებულო ქალღმერთის შვილო, დაიხსენ ჩემი საბრალო ქალი სიკვდილისაგან! თუმცა იგი, მართალია, შენი საპატარძლო არ გამოდგა. მაგრამ მაინც შენი გულისთვის მოვიყვანე ამ სამხედრო ბანაკში. შენი დიდებული სახელის შეურაცყოფა იქნება, რომ ჩემი ქალი შენი სახელით მოტყუებული სიცოცხლეს გამოასალმონ, მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ შეგიძლიან გადამირჩინო სიკვდილს ქალი. გევედრები, დიდებულო გმირო, მოიღო ჩვენზე მოწყალება, გევედრები შენ მფარველობას ნუ მოაკლებ საბრალო ოფიგენიას! მხოლოდ შენ ხარ ჩვენი ერთად ერთი იმედი და მხსნელი!

აქილი. (აყენებს) პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ მფარველობას გაგიწევთ, ჩემი ხმალი გასცემს პასუხს მას, ვინც შენს ქალზედ სასიკვდილოთ ხელს აღამაღლებს! ცოტახანს წავალ, ისევ მალე დავბრუნდები. (გავა).

ოფიგენია. დედავ, აქილმა რომ დამიხსნას სიკვდილისაგან, რა ბედნიერება იქნება. მგონი მამა ჩემი მოდის, იმასაც უნდა ცრემლით ვთხოვო, ეგება ჩემმა ცრემლმა გული მოულბოს და სიცოცხლე მაჩუქოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ 5.

იგინივე და აჰამემნონი.

ᲙᲚᲘᲢᲔᲛᲜᲔᲡᲢᲠᲐ. ყველაფერი, ყველაფერი ვიცით მეც და იფიგენიამაც! (იფიგენიას) იფიგენია, მოიყვანე შენი პატარა ძმა ორესტი და თვითონვე შეამოწმე როგორს ბრწყინვალე ქორწილს გიმზადებს მშობელი მამა. აბა, აჰამნენონ, შეხედე შენს ქალს, როგორი მორჩილებით შემოგყურებს. მითხარ, რამ გაიძულა, რომ შვილს სიცოცხლეს უსპობ? განა იმიტომ რომ ელენე მენელაოსს დაუბრუნო? უმსგავსი და ფუქსავატი ელენე განა ღირსია, რომ ჩვენი საყვარელი იფიგენია მას მსხვერპლად შევწიროთ. აჰამემნონ, დაფიქრდი კარგად, რას ჩადიხარ? ხალხს რა უნდა უთხრა? აბა, დროებით მაინც წარმოიდგინე, როგორ უნდა გავძლო იმ სახლში საცა ჩვენი ქალი სიყმაწვილითვე მარდად დაცქრიალებდა. ყოველი სახლის კუნჭული, ყოველი სახლის უბრალო ნივთი ჩვენს ცქრიალა იფიგენიას მომაგონებს! როგორ უნდა შევსდგა ფეხი იფიგენიას დაცარიელებულ ოთახში! რას მეტყვიან დანარჩენი ჩემი ქალები, როცა გაიგებენ თავიანთ საყვარელ დის სიკვდილს. განა შემიძლიან უთხრა, რომ მშობელმა მამამ მოუსპო თავის შვილს სიცოცხლე მეთქი! დაფიქრდი, აჰამემნონ, რას ჩადიხარ! განა იფიგენიას სიკვდილის შემდეგ შეგიძლია აღაპყრო ღმერთებისაკენ სავედრებლად გასისხლიანებული ხელები? აჰამემნონ, გევედრები თვალცრემლიანი, აჩუქე შენს ქალს სიცოცხლე! გახსოვდეს, რომ ელენეს უმსგავს საქციელისთვის ჩვენი საყვარელი და ღვიძლი შვილის სისხლის დანთხევა უმართებულო და შეუწყნარებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფიგენია. (მამას ყელზე მოეხვევა) მამავ, ჩემო საყვარელო მამავ! მე არ შემიძლია ორფეისავით მძლავრი სიტყვებით მოგმართო, თორემ შენს განზრახვას უთუოდ შეგაცვლევინებდი. ორფეის მძლავრი სიტყვები უზარმაზარ მთებს ამოძრავებდნენ, და ნუ თუ ჩემი სიტყვები შენ გულს ვერ მოგილბობენ! მე უბედურს, გარდა ცრემლისა არა გამაჩნიარა! ჩემს მაგივრად მხოლოდ ცრემლები მეტყველობენ! მამავ, გეევედრები შემიბრალე, სიყმაწვილითვე ნუ მომისპობ სიცოცხლეს, მეც სხვებთან ერთად დავსტკბე ბედნიერის ცხოვრებით! მოიგონე ის დრო, როცა სულ პაწაწინა ვიყავი, როცა ალერსით ამიყვანდი ხელში და ბავშური ტიკტიკით ყელზე გეხვეოდი და მე „ჩემო საყვარელო მამავ“, პირველადვე ასე გეძახდი! დედისა და მამის განუსაზღვრელი სიყვარულით უდარდელად ვიზრდებოდი მშობლელ ოჯახში! გახსოვს მამავ, როგორ ხშირად ოცნებობდი ჩემს მომავალ ოჯახზე, როგორ ბედნიერებას მიქადდი ჩემს მეუღლესთან! განა ყველა ამის შემდეგ სასიკვდილოდაც მიმეტებ? არა, ჩემო საყვარელო მამავ, შენ მე სასიკვდილოთ ვერ გამიმეტებ, შენ არასოდეს დედაჩემს ასეთს მწუარებას არ მიაყენებ; მამავ, სიკვდილი საშინელებაა, ხოლო სიცოცხლე-კი ნეტარებაა, მზის სხივების ცქერა სიტკბოებაზე სტკბოებაა!

ა ჰ ა მ ე მ ნ ო ნ. თუმცა ჩემი გულიც იტანჯება, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი, მთელი ელლადის კეთილდღეობას გწირავ შვილო მსხვერპლად. შენი მსხვერპლად შეწირვა სამშობლოს განსაცდელისაგან იხსნის, რაზმების უფროსებმა ეს კარგად იციან და კიდევაც ამიტომ ითხოვენ მსხვერპლს. (საჩქაროდ გავა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 6.

იგინივე და მეომარნი (შეიარაღებულნი).

1-ლი მხედარი. ოდისეომ ელინთა მხედრობას გამოგვიცხადა კალხასის წინასწარმეტყველობაო, ღმერთებს სურთ რომ იფიგენია შეიწიროს მსხვერპლადო.

მეომარნი (ყველანი) უსათუოდ უნდა შეიწიროს იფიგენია!

იფიგენია. (გმირულად წამოდგება და მიუბრუნდება დედას) დედავ, ნუ სტირი, ტყუილად ნუ აფრქვევ ცრემლებს! მე საბოლოოდ გადავწყვიტე შევსწირო ჩემი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას. მთელი საბერძნეთის ყურადღება ამ ჟამად ჩემკენ არის მოქცეული. ჩემი მსხვერპლად შეწირვა მხედრობას განსაცდელისგან იხსნის და მისცემს მას ტროადაზე გალაშქრების საშუალებას. ტროადელებზე გამარჯვება თავზარს დასცემს თვითეულს ჩვენს მტერს, რომელიც კი პარისის მსგავსად განიზრახავს ელლინთა ოჯახის შეურაცხყოფას, მთელი საბერძნეთის სახელი და დიდება ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი საკუთარი სიცოცხლე! ჩემ საყვარელ სამშობლოს კეთილდღეობისათვის მე მზადა ვარ სიცოცხლე გავწირო! დედავ, ნუ სტირი, ასეთ დიად საქმისთვის მე ყველაფერს შევწირავ! სიკვდილი სრულიადაც არ მაშინებს! თქვენ კი დიდებული ქვეყნის დიდებულნო მეომარნო, ჩემი მსხვერპლად შეწირვის შემდეგ უშიშრად გაილაშქრეთ მტერზე და მამაცად შეანგრიეთ ტროადის სიმაგრენი! დეე, ილიონის ნანგრევებმა გამიწიონ ძეგლის მაგიერობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგინივე და აქილი

მხედარნი. ვაშა შენს გმირობას, იფიგენია! გმადლობთ რომ ჩვენთვის და სამშობლოსთვის თავს იმეტებ!

აქილი. (ხმალს ამოიღებს და წარსდგება წინ) ამ ხმალმა უნდა მფარველობა გაუწიოს იფიგენიას!

იფიგენია. გაჩერდი აქილ, შენ ჩემი გულისათვის სისხლს ნუ დაღვრი, მე თვითონ ვწირავ ჩემს თავს. (აქილი ხმალს ჩააგებს და უკან გაიწევს).

იგინივე და აჭამემნონი.

აჭამემნონი. (შემოვა თუ არა თვალებზე ხელს იფარებს და თვალს არიდებს).

იფიგენია. მამავ, თვალს რად მარიდებ? მე ჩემი ნებით, ჩემი სურვილით მივდივარ სამსხვერპლოზე, მე ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის სიცოცხლეს ვწირავ! დიაღ, მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ჩემი სიკვდილი ჩვენ საყვარელ სამშობლოს განსაცდელისგან იხსნის! მშვიდობით, ბედნიერად! ელინთა დიდებულ მხედრობას ვუსურვებ მტერზე გამარჯვებას და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას! (აჭამემნონი გავა. იფიგენია დედას ეხვევა) დედავ, ნუ სტირი! მშვიდობით (გავა, მხედრობა თან გაჰყვება).

კლიტემნესტრა. (მივა სავარძელზე დაეშვება და ქვითინს დაიწყებს) შვილო, გენაცვალოს დედა, იფიგენია, განა უშენოდ უნდა დავბრუნდე სახლში? რა უნდა უთხრა შენს დებს და ძმებს? როგორ უნდა გავძლო უშენოდ! ოჰ, აჭამემონ შენ გაიმეტე სასიკვდილოთ შენი მშვენიერი იფიგენია, შენ მოუსპე სიცოცხლე შენს უმანკო შვილს, ნუ თუ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილი სიტყვა აღარ მოგაგონდა, ნუ თუ მშობლიური სიყვარული ასე დაჰკარგე?

იგივე და მსახური.

მსახშრი. მთავარსარდლის მეუღლევ! მიხარებია თქვენთვის, თქვენი ასული სიკვდილს გადარჩა, ღმერთებმა მსხვერპლად შველი გამოგვიგზავნეს, იფიგენიას მაგივრადა შველს მოჰკვეთეს თავი!

კლიტემნესტრა. (სავარძლიდან წამოვარდება) ნუ თუ ჩემი ცქრიალა იფიგენია ცოცხალია? ღმერთო ეს რა სიხარული მომევლინა (ხელებს აღაპყრობს).

პელაგია კანდელაკი.

ფ ა რ დ ა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგულთ ხელმწიფის ასული

ხალხური

(ზღაპარი*).

VI

ღამეა. მეფის სასახლეს
ნისლი რამ შემოსწოლია,
გუშინდელს მეჯლისს ყორანი
დაჰყეფს ვით ზამთრად თოლია.
მეფე მჭმუნვარებს; მძიმედა
ქარვას სთვლის საკარძელშია,
ამ დროს შემოდის შიკრიკი,
რაღაც უჭირავს ხელშია.
ჰკადრა: „მეფეო, სამხრეთით
მტერი გვარტყია რკალადო,
თუ დროზე აღარ მივხედეთ,
დღე დაგვიდგება ავადო“.
გამოერკვია მძლეთა მძლე,
შიკრიკს შეჰხედავს რისხვითა,
შუბს შემოუქნევს და კედელს
შეჰლებავს მისი სისხლითა.
დღეს არ სცალიან მტრისთვისა
სულ სხვაა მისი ნაღველი,
ძის საიდუმლო სევდამა
გაუხმო ყანა, მთა-ველი.

*) იხ. ნაკ. № 5—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუხმობს ბრძენსა, მკითხავებს,
ხომ არვინ მომიწამლაო,
იქნებ თვალი სცეს? ჩვენს თავზე
რა ჭირმა მოიცალაო.
მაგრამ არ იქნა: მკითხავნი
სდუმდნენ, ვერარა გაიგეს,
მარჩიელებმაც ამაოდ
გიშრის ხალიჩა დაიგეს.
მემკვიდრეს დამწუხრებულსა
ამაოდ ჰვედრის ხალხია,
რომ გაიღიმოს, აჰხადოს
მშობელთა მძიმე თალხია.
ბნელს ოთახს გამომწყვდეული
თვითვე სწვავს სულის ლელოსა,
ყრუდ მოქვითინე უხვად რწყავს
ცრემლით ნორჩ გულის მდელოსა.
მაგრამ შეჰხედეთ, ვერ უძლებს
შინაგან გულის ალებსა,
ადგება, დედას უკოცნის
შუბლსა და დამწვარს თვალებსა:
„დედი მიშველე, გენაცვა,
ვერ ვუძლებ ჭმუნვის ბალსაო,
მრცხვენიან... ძუძუ მომშივდა
როგორც უსუსურს ბალღსაო“.
დედოფალს წასკდა სიცილი:
„გიჟო, რას ამატირეო?
გეთქვა, გულს რაზე მიხეთქდი,
მოთქმით რად დამამცირეო.
აჰა, გასძეხი: აღუ—შენ!
ბაწაწა ბიჭო, ნანაო!
კვლავ აღიდგინე ბავშვობის
გულუბრიყვილო, ხანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა ვაჟს ძუძუ. მაგრამ რა,
ჩავარდა გასაჭირშია,
ვაჟმა ჩასჭიდა კბილები,
აყარა ვაი-ვიშია.
„შვილო, რას მერჩი, მაკმარე,
ვაი, მოგიკვდი დედაო!“
—რა ვქნა, დედილო, ამაზე
მწარეა ჩემი სევდაო.
ვინ არის ბულბულთ ხელმწიფე,
მითხარ მშობელო ჩქარაო,
სხვაზე აღარ მსურს ბაასი,
კმარა: ჰოო თუ არაო!
თურმე ჰყოლია ასული,
მზეთუნახავთა თვალიო,
რომ გზა მიჩვენო შენს შობილს,
ესაა შენი ვალიო!
მაგრამ ვერარა ნუგეში
მიიღო ვაჟმა დედისგან,
გაცუდდა მისი ცდილობა,
დადნა შავბნელი სევდისგან.

VII

გათენდა დილა. მეფის ძემ
მოუხმო მამას, ამალას,
საქვეყნოდ ჭირსა აცხადებს,
მძიმე განზრახვას არ მალავს:
—მშვიდობით ჩემო დედ-მამავ,
მშვიდობით ჩემო ყველაო,
ხელს ნულარ მიჭერთ, თქვენს ცრემლებს
არ მოაქვს ჩემთვის შველაო.
წავალ მოვძებნი საბედოს,
გადვიტან გასაჭირსაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთასა და ბარსა შევჩივლებ
თუ რა იარა მჭირსაო.
ვივლი ცხრა წელსა და ცხრა თვეს,
ცხრა დღეს, საათს და წუთსაო,
თუ ამ დროს აღარ დავბრუნდე,
შეუნდეთ ჩემსა სულსაო.
მკვდარი ვიქნები. მიგლოვეთ,
მაშინ მოისხით თალხიო,
მაგრამ ამას გთხოვთ, არვინ სთქვათ:
„ახია შენზე, ახიო!“
ამალა არ მსურს, თან მახლდეს
ჩემი აღმზრდელი—ლალაო,
იმისი სიბრძნე ნაცადი
მეუფემ მომავალაო“.
სთქვა და მშობლები ჩაიკრა,
დაჰკოცნა ცრემლით ტკბილადა,
ერთხმად ატირდნენ: არ უნდათ
მემკვიდრე გასაწირადა.
დაემხნენ მოსთქვეს: „რომ მიხვალ,
აქ ვის გვიტოვებ, განაო?
აგვყარე ბარემ ყველანი
და წაგვიყვანე თანაო.
მერე და რა დროს! როს მტერი
გვაჩვენებს მუშტით კუბოსო,
უშენოდ გავწყდეთ, სახლკარი
დაგვეწოს, დაგვეღუპოსო“.
და რომ მოულბონ ვაჟს გული,
მოაქვთ მის პაპის ხმალია,
მუზარადი და ჩაჩქანი,
აბჯარი, ჯავშნის ფარია.
დედაც ეხვევა, ხუჭუჭსა
ცრემლთა ნამებით უვსებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვითინით უთრთის ტუჩები,
ვაებას ველარ უძლებსა.
მაგრამ არ იქმნა, ვერ გასჭრა
მათმა თხოვნამ და ცრემლებმა,
ამაოდ სცადეს ფარ-შუბის
დამსხვრევა მამაც მხედრებმა.
—ვაგლახ, მეც ვჩივი რომ გტოვებთ
ოდეს გვარტყია მტერიო,
მაგრამ რა ვუყო, რომ სატრფომ
ისარს უცვალა ფერიო.
მან მე დამინთო მაშხალა,
მონას მწვავს სულ სხვა ალითო,
ალარ მსურს ციხე-კოშკები,
თქვენ გამკობთ პაპის ხმალითო.
ველარ გავაპობ ზღვის ფსკერსაც,
თქვენვე იზრუნეთ მისთვისო,
სატრფოს აჩრდილიც მეყოფა,
აქ დაყოვნება მიმძიმსო.
თანაც გაჰშალა ალამი,
ჰშორდება მშობლებს, მხედრებსა,
ვეზირი მისდევს. რას აქნევს
თუ ვინ სად რად ჰლვრის ცრემლებსა.

VIII

მიდიან ჩვენი მგზავრები,
აჰყვნენ შავ ბედის წერასა,
ბევრი იარეს თუ ცოტა,
გასცდნენ ცხრა თოვლის მწვერვალსა.
გზა-გზა ჰკითხავდნენ: „სად არის
ბულბულთ ხელმწიფის კარიო“,
მაგრამ პასუხად ესმოდათ:
„მზგავსი რამ არსად არიო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეზირი ართობს, ასწავლის
ფრინველთა ენას, ჩურჩულსა,
მცენარეთ ფოთოლთ შრიალსა,
თუ წყაროს ტიკტიკ-ჩუხჩუხსა.
მიდიან შეუსვენებლივ,
უკან არ იხედებიან,
თანდათან ძუნწობს ბუნება,
მგზავრნიც გზად აღარ ჰხვდებიან.
ხმება ბალახი, ხეხილი,
წყალნი წყდებიან, ჰშრებიან,
თითქოს მიწამან პირი ჰქნა
ყველა კვდებიან ჰქრებიან.
ტრიალ უდაბნოს შუაგულს
უკვალოდ იკარგებიან,
ხშირად მუხლისა ქარისთვის
ცხელ-ცხელს ქვიშაზე სხდებიან.
ერთფეროვანობს ბუნება,
ქარი სდუმს, სიცხის ლულია,
მოსწყინდა ვაჟსა ამდენი
ტანჯვის გზით სიარულია.
გაწამებულსა თვალებზე
არ ეკიდება ძილია,
წარხდა, წავიდა, ვარდს აჭკნობს
ყრმის ჩუმი სინანულია.
შვიდმა დღემ განვლო ამ ყოფით,
გზა არის მეტად მწირია,
ცეცხლს გადუბუგავს ყოველი,
არა სჩანს ნამი მცირია.
აგერ გრიგალმაც დაჰბერა,
ოქროს მტვერს ატრიალებსა,
გმინვა გაჰხდება მიწასა,
ცას ბუქით აგრიალებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშად წამოჰყრის ჩონჩხებსა,
ძვალთა მტვერს ანიავებსა,
კუპრი თვალსა სთხრის, თითქოს ცა
უშვებს მავნე სულთ, ავებსა.
ვაჟი შეძრწუნდა. ვაებით
დაითხრის გიშრის თვალებსა,
ღმერთს საყვედურსა შესტყორცნის,
გულს იგზნებს ცეცხლის ალებსა.
ნუ თუ წავიდა, აღსრულდა,
მეფის ძე, განწირულია?
ხსნა არ სჩანს, მისი ქუდბედი
ასე შავბნელად კრულია?
აგერ, მეფის ძე ისე სჭვრეტს,
თითქოს გამოჩნდა ცხვრის ფარა,
მოჩვენებაა თუ ქარმა
ბისტი თვალს გადააფარა?
„ვაგლახ, წავიდა,—სთქვა კვნესით:
დედაბრის წყევლა ხდებაო,
სადაური ვარ, სად ვკვდები,
უწყალოდ სული მხდებაო“.
მართლაც, შეხედეთ, ჭაბუკის
უგვანო ბედის წერასა!
გრიგალი შავ ფრთით აფარებს
ქვიშნარის შავბნელს ზეწარსა.
წიალ-წიალით ყივილი
გაუდით ყორანს, ძერასა,
ვეზირი ვაჟსა კალთის ქვეშ
უფარავს გულის ძგერასა.
აგერა, სვავნი ბრჭყალებით
ქვიშას ძირამდე სწვდებიან,
ფრთების ფართხალით ქალასა
იტაცვენ, აფრინდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალმა და ალმა გუნდ-გუნდი
ერთმანეთს ედევნებიან,
ჰყეფენ, იბრძვიან, ერთურთსა
მსხვერპლს კლანჭით ეცილებიან.

IX

ეს რა ამბავი ტრიალებს
მეფის ძის თავზე ტიალსა,
ბედი არც გრიგალს აკმარებს,
არც თუ ყვავ-ყორანთ წიალსა.
აგერ ჩვენება—ჩონჩხები
იწყებენ თითქოს გრიალსა,
კუნაპეტ ცის ქვეშ ციმციმით
ვარსკვლავი იწყებს ცქრიალსა.
მის წინ მხედრები დგებიან,
იგებენ მწვანე კარავსა,
მხარ თეძოს წამოწოლილნი
ნელად ითვლიან ქარვასა,
წყვილ-წყვილად ბედაურთა წინ
მხარი მხარს უძევს ქალ-ვაჟსა,
იქვე მოხუცი ჩიბუხს სწევს,
ჩამოჰკრავს კვესით სალ კაჟსა.
ვინ უნდა იყვნენ? სად მიჰყავთ
აქლემთა ქარავანია?
არ ეშინიანთ, ჩაუნთქოთ
უდაბნოს ქარმა ნავია?
რა ბრძანებაა! ლხინობენ,
აგერ ტაშს დაჰკვრენ ამბითა,
ქალი გამოდის კისკისით,
მარმაშის ლეჩაქ-კაბითა.
შიშველ მკლავებზე არტყია
ძვირფას თვლის სამაჯურები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმას-ლალისა კუნწულით
ჰშვენის ვარდნარი ყურები.
ცეკვას მოჰყვება. ვარსკვლავებს
ძირს ჩირაღდნებათ ინთებსა,
ოქროს ქოშს იხდის, გასტყორცნის,
გაატკაცუნებს თითებსა.
ქარბუქით იწეწს დალალ-კავს,
დაირეს დაჰკრავს ცერითა,
ხან ტაშს შემოკრავს, სრიალებს
სარ მრხეველი ცეკვითა.
აგერ, შეიხსნის გვირგვინსა,
ვაჟს მოჰხვევს შმაგად მკლავებსა,
თან შემოავლებს კისერზე
გველსავით გიშრის კავებსა.
მსუბუქად მერნად შეისვამს,
გადაუკოცნის თვალებსა,
მერანს შეუტევს, გაჰქრება,
შორს სტოვებს მამის კარებსა.
თან მიჰყვებიან ყივილით
ყვავი, ყორანი, სვავია,
სირაქლემა თუ კანჯარი,
ლომი, ძუ ვეფხი ავია.
ქალი კი მიჰქრის. მერანი
სრიალებს ღრუბელთ ზვირთითა,
მთელსა უდაბნოს გადარწყავს
წურწკურა ოფლის ღვითქითა.
აგერ, გაჰკვეთა ჰაერიც,
უდაბნოს შორად სტოვებსა,
უცნაურს ედემს ეწვევა,
კეკლუცებს, თავის სწორებსა.
რა ქვეყანაა, ჭირიმეთ,
არ გამოითქმის ენითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავებისა წყაროს წინ
კვდებიან მეტის ლხენითა.
ბზის მოშრიალე ფოთლებ ქვეშ
მეფის ძეს მიაძინებსა,
და ასე ეტყვის, ვიდრემდე
მალ მერანს გააფრინებსა:
„იძინე, ყრმაო, შენი ვარ,
ბულბულთა მეფის ქალიო,
აგერ, მოველი, გნახევი,
მოგწმინდე ორთავ თვალიო.
ნუ შემიდრკები. შორსა ვარ
შვენება, მზისა ალიო,
რომ მიპოვნიდე, ეს არის
შენი მუდმივი ვალიო“.

X

გამოელვიძა. მეფის ძე
სიზმარს იგონებს ტკბილსაო,
ირგლივ უდაბნოს რომ ჰხედავს
ისევ შეჰნატრის ძილსაო.
ვეზირი ეტყვის: „იყუჩე,
მიზნამდინ ჯერ ვართ შორსაო,
მადლი ღმერთს, გრიგალს გადურჩით,
როგორც ხოხობი ქორსაო.
შენ რომ სიზმრებში სცურავდი,
მეც მოგვყვებოდი თანაო,
წამწამთ რხევაზე ვიცანი,
რა ბედმა წაგიყვანაო.
ეგრე ფარხმალის ჩამოყრა
არ გშვენის მეფის ძესაო,
ადრე თუ მალე მივაგნებთ
ბულბულთა ხელმწიფესაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ასულმაც ხომ ეს გითხრა,
განიშნა თეთრის ხელითა,
აფრა ავუშვათ, არწივი
გვიწვევს შავ ფრთების ქნევითა".
მართლაც, გამოჩნდა არწივი,
კანჯარსა დასდევნებოდა,
ფრთებს რომ თვალებში დასცხებდა
ნისკარტით კისერს სწვდებოდა.
საბრალობელი პირუტყვის
ძარღვებში ცეცხლი სდგებოდა,
ფეხს აჩქარებდა, მაგრამ მით
მაინც ვერასფერს ჰხდებოდა.
მაშინ მეფის ძემ ორპირი
დანა შესტყორცნა ქვევითა,
გული გაუპო არწივსა,
ძირს დაანარცხა ფრთებითა.
„ასე ვიბრძოლო, არ დავცხრე
ვიდრე მტრობს ჩემი ბედიო,
საკუთარ გულსაც გავფათრავ,
მერიდოს შავი გედიო".
სისხლ შეუმშრალი ორპირი
ჩაიდვა ვაჟმა უბესა,
ან ვით დასცხრება, ვიდრემდის
არ ჰპოვებს ბედით ნუგეშსა?
კანჯარი მადლსა მიუძღვნის,
ზურგზე შეისვამს მხსნელებსა,
უდაბნოს ისე გაირბენს,
არც ერთგან დაისვენებსა.
როს სამშვიდობოს გავიდა,
აქ ნაბიჯს შეინელებსა,
გადმოსხავს მგზავრებს, უმალვე
მიჰმართავს ქვიშის ველებსა.
ვეზირი იტყვის: „ჰხედავ, რომ
ჭირს ჰმართებს გამაგრებაო,
ნაყოფი ტკბება, რამდენად
ძნელია მისი კრებაო".

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნაური ყმაწვილი

I

პირველი გაცნობა.

მწვანე კვიდოს ღობე მოსდევდა მშვენიერ ალმართს, გადადიოდა მის მეორე მხარეს, გრძელდებოდა პატარა მოჩუხჩუხე ნაკადულს იქით, ისევ მაღლა ადიოდა და იკარგებოდა ტყით დაფარულ პატარა გორაკებზე. მაგრამ დონალდს, რომელიც დიდი ხანია მიჩვეული იყო თავის სავარძელს, შეეძლო მხოლოდ შორიდან ეცქირა ამ მომხიბლავ ბუნებისათვის. მან სთხოვა ვილიამსს მიეყვანა ის იმ ბაღის კუთხეში, საიდანაც შეეძლო დაენახა, როგორ ხვდებოდნენ ერთმანეთს მწვანე ღობე და ცქრიალა ნაკადული, იმის იქით კი დონალდს არაფრის დანახვა არ შეეძლო.

წყნარი და ჭკვიანური სიდინჯით უგდებდა ყურს ვილიამსს, რომელიც არწმუნებდა მას, რომ ძლიერ ძნელია, თითქმის შეუძლებელი, სავარძლის ალმართზე აგორება და დასთანხმდა დარჩენილიყო ძირს, დაფნის ხეების ქვეშ. თუმცა დონალდი უკვე მიეჩვია მორჩილებას, მაგრამ მაინც საშინელი სევდა იგრძნო, როცა გახედა მშვენიერ მწვანე მდელოს, რომელიც მოსჩანდა ხშირ ხეების შორის და რომელიც ისეთ მომხიბვლელ სილამაზეს ჰფენდა იმ არე-მარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კარგი იქნებოდა, რომ შეეძლოს გადმოხტომა თავის მძიმე სავარძლიდან და არბენა იმ ალმართზე, რა სიამოვნებით დაათვალიერებდა აგერ იმ ცისფერ ფრინველს, სანამ ის მოასწრებდა გაფრენას და დამალვას. რომ შეეძლოს, მხოლოდ... მაგრამ უეცრივ თავის პატარა, უმწეო ფეხებში იგრძნო ტკივილი, აუტანელი სიმძიმე და დაქანცულივით მიხუჭა თვალები.

— შენი აქ ყოფნა არ არის საჭირო, ვილიამს,—სთქვა მან,—მე, უეჭველია, საღამომდის აქ დავრჩები.

— მე თქვენ მომვლელი ქალის მაგიერობა უნდა გაგიწიოთ,—უპასუხა ღიმილით კაცმა.

— ნუ გეშინია, მე მომვლელ ქალსაც ხშირად მთელი დღით ვიშორებ ხოლმე. მე ვფიქრობ... მე მგონია, რომ ჩემთვის მარტო დარჩენა უკეთესია. თუ შენ საჭირო იქნები, მე მაქვს აი ეს,—და მან გააქნ-გამოაქნია ვერცხლის სასტვენელი, რომელიც მიბმული იყო მის სავარძელზე.—რაც უნდა შორს იყო ამის ხმას მაინც გაიგონებ; მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დასტვენა არ მომიხდება ასეთ მოკლე ხანში.

მისი დაღლილი ცისფერი თვალები კვლავ მიინაბნენ და ულონოდ თავით მიეყრდნო ბალიშებს. ვილიამსი კიდევ რამდენიმე ხანს ყოყმანობდა, მაგრამ ისევ წასვლა ამჯობინა.

როდესაც მისწყდა იმისი ფეხის ხმა, დონალდმა გაახილა თვალები და შეხედა მშვენიერ ლურჯ ცას, რომელიც გამოსჭვიოდა ხეების ხშირ ტოტებში. მწვანე ღობის იქით უცბათ რაღაც არაჩვეულებრივი შრიალი გაისმა, მას მოჰყვა ხშირი ქოქინი, ფეხის ხმაურობა, ჩუმი წამოძახილი და ყველა ამის შემდეგ მწვანე ღობის იქით გამოჩნდა წყვილი ფეხი მიხაკისფერ ყელმოჭრილ ფეხსაცმელებში. დონალდი აღტაცებით შესცქეროდა ფეხებს: ისინი განსაცვიფრებელი სისწრაფით იხლართებოდნენ და იშლებოდნენ. ბოლოს ფეხებმა შესწყვიტეს მოძრაობა, წამს გაშეშდნენ და უცებ გაქრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ, მათ მაგიერ კი გამოჩნდა აბურძგნული ქერა თავი. ქერა თავის პატრონმა, რომელიც ღობის იქიდან გამოჩნდა, დაუწყო დონალდს ცქერა.

— რა კარგი იყო! თუმცა ძლიერ ძნელი კია!—წამოიძახა ქერა თავის პატრონმა.—თავი კი სულ მტვერით ამევსო,—განაგრძო მან—და ლაპარაკის დროს კი იწმენდდა ცხვირსახოცით გაოფლიანებულ კისერს, სახეს და თავს.

— რას აკეთებდი?—შეეკითხა დონალდი.

— თავით დავდიოდი. შენ როდისმე გიცდია თავით სიარული?—შეეკითხა ის თავის მხრივ და თან ისევ მტვერს იშორებდა.

— არა,—დინჯად მიუგო დონალდმა.—მე სრულებით არ შემიძლია სიარული.

ყმაწვილი სწრაფად მიბრუნდა მისკენ და მის სახეს სიბრალულის და ალერსის გრძნობა გადაეფინა.

— ოჰ, საწყალო ბავშვო! წამოიძახა მან, წაავლო ხელი ხეს, ახტა ღობეზე და მსუბუქად დაეშვა მიწაზე.

დონალდმა გაოცებით შეჰყვირა:

— რა მოხერხებულად და მარდად გადმოხტი!—შენიშნა მან,—შენ სასწავლებელშიაც ასეთ ოინებს აკეთებ?

მომღიმარი სახე ყმაწვილისა სწრაფად მოიღუშა, ტუჩები მაგრა მოკუმა და მერე მწარედ ჩაიცინა.

— არა, მე ახლა სასწავლებელში აღარ დავდივარ,—უპასუხა მან,—თუმცა მე სხვა თერთმეტი წლის ბიჭზე ცუდად არ ვთამაშობ სასწავლებელში, მაგრამ რადგანაც მოწაფედ აღარ ვითვლები, ამიტომ ბურთაობაშიაც აღარ შემიძლია მივიღო მონაწილეობა და ჩვენმა ჯგუფმა წააგო თამაში.

— განა არ გინდა სასწავლებელში სიარული?

— არ მინდა?!. ოჰ, პატარავ, რომ იცოდე...

— მაშ რატომ არ დადიხარ?

— იმიტომ, რომ სასწავლებლის კარები ცხვირწინ დამიკეტეს და უარი მითხრეს მის გაღებაზე, სანამ არ მოვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვ ბოდიშს იმისთვის, რაც არ ჩამიდენია. ახლა კი აქ გამომგზავნეს, რომ კარგა დავფიქრდე ჩემ ცუდ საქციელზე და იმ დანაშაულზე, რომელიც სრულებითაც არ ჩამიდენია. ცუდ საქციელზე ფიქრი კი არის...

— რატომ არ უამბობ და არ აუხსნი ყველა ამას მამაშენს?

ყმაწვილის სახეზე შეურაცხყოფა და მრისხანება გამოიხატა.

— იმიტომ, რომ ჩემი მამა... მაგრამ სჯობია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მომიყე, ბიჭიკო, შენ რა დაგემართა?

— ჩემ ფეხებს რაღაც მოუვიდა, — დონალდის ხმაში ცრემლები გამოკრთოდნენ, — აგერ სამი წელიწადია ველარ დავდივარ...

— მაგ ხნის განმავლობაში სულ ავად იყავი?

— არა, ავად სრულებითაც არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიღლები, ყველაფერი მღლის. ექიმმა ჩვენ ეს აგარაკი ამოგვირჩია, რადგანაც ქალაქი ძლიერ მღლის. უკვე ერთი თვეა აქ ვცხოვრობთ და მომწონს კიდეც აქაურობა. მაგრამ თუ ექიმი ბურჩარდი ვერ შესძლებს აქ ჩემს მორჩენას...

— ექიმი ბურჩარდი?

— განა შენ იცნობ ექიმ ბურჩარდს?

— ცოტათი, — ყმაწვილის სახე წამით გაბრწყინდა სიამაყით. მერე კი ისევ დაიწყო ვითომც უგულოდ. — ის, მე მგონია, ქალაქში სცხოვრობს საზოგადოთ და იქ საავადმყოფოში მუშაობს. აქ ახლო კი მას აქვს აგარაკი, აგარაკში ახლა არავინ სცხოვრობს; ყოველ შემთხვევაში ისეთი არავინ სცხოვრობს, ვისი გახსენებაც ღირდეს.

— ოჰ, შენ ბევრი რამ გცოდნია ჩემ ექიმზე! ის დარწმუნებულია მომარჩენს და მალე ფეხზე დამაყენებს. მაგრამ თუ სიარულითაც ისე დავიღალე, როგორც ახლა ჯდომით ვიღლები... ოჰ, რომ იცოდე როგორ დამღალა სავარძელმა!

— ხშირად გტოვებენ ასე მარტოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მიყვარს მარტო დარჩენა. მომვლელი ქალი და ვილიამსი ძალიან მღლიან.

— შენი დედა?

ბავშვს ცისფერი თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ თავი შეიკავა.

— აი სწორედ მაგაშია საქმე,—სთქვა მან,—რომ აქ არა მყავს დედა. ექიმმა ბურჩარდმა სთქვა, რომ დედა აქედან უეჭველად უნდა წავიდესო. მას შემდეგ, რაც დედა წავიდა უკვე ერთი თვე და ოცი დღე გავიდა.

— მამაშენიც იმასთან ერთად წავიდა?

— მამა ხან ჩემთან ცხოვრობს, ხან დედასთან. დედა ჩემთან აგზავნის, მე კიდევ დედასთან. საწყალი მამა!..

— მაშ შენ ისეთი არავინა გყავს, ვინც წიგნს გიკითხავს, ზღაპრებს გეტყვის, ან...

— მე კითხვა ძლიერ მღლის, მე მაშინაც კი ვიღლები, როცა ზღაპარს მიამბობენ.

— ზღაპრები გღალავს?—შეჰყვირა ყმაწვილმა და უცებ დაუმატა:—მე ვიცი რატომ იღლები. შენ არ იცი?

კითხვა ისე უცბად იყო მიცემული, რომ დონალდი შეხტა.

— არა, არ ვიცი.

— იმიტომ, რომ ზღაპარს ყოველთვის თავიდან გეუბნევიან, ხომ მართალია?

— რასაკვირველია თავიდან! მაშ საიდან უნდა დაიწყონ?

— საიდანაც უნდათ, მხოლოდ თავიდან კი არა. მაგალითად, ბოლოდან, შუადან, ან კიდევ სხვა ადგილიდან.

დონალდმა გაიღიმა და უნდობლად გადახედა ყმაწვილს.

— შემოგხედოს კაცმა ვაჟკაცს გავხარ,—უთხრა მან, და ასეთ სისულელეს კი ლაპარაკობ.

— სისულელეს? მე? არა, სრულებითაც არა! მე ყოველთვის დაფიქრებულად და ბრძნულად ვლაპარაკობ. ტყვილა კი არ მეძახიან სოლომონ ბრძენს!

— მითხარი ერთი, როგორ მოჰყვები ზღაპარს, რომელიც ბოლოდან იწყება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონალდს თვალები სულ დაკვირვებით გაუმრგვალდა.

— ეგ ძალიან ადვილია,—უთხრა ყმაწვილმა.—საშინელი სისულელეა ზღაპრის თავიდან დაწყება. აი, მაგალითად, ზღაპარი პატარა თევზებზე, რომლებიც სცხოვრობდენ მთვარის გზაზე. აბა მითხარი საიდან დაიწყებდი შენ ამ ზღაპარს?

— მე ეგ ზღაპარი არ ვიცი, - სთქვა დონალდმა.

— რასაკვირველია არ იცი, მაგრამ რომ იცოდე საიდან დაიწყებდი? უეჭველად ასე: „იყო და არა იყო რა, იყვნენ პატარა თევზები, რომლებიც სცხოვრობდნენ მთვარის გზაზე“...

— მართალია, საზოგადოთ ზღაპრები ასე იწყება.

— აი სწორედ ეგ არ არის მართალი, ზღაპრის მთქმელმა უნდა ეცადოს რაც შეიძლება დაშორდეს ზღაპრის დასაწყისს. აი, მაგალითად, ამ ზღაპრის დაწყება შეიძლება ასე: „როგორც კი ზღვის ვეშაპი მოიტაცა და დაჭყეტა ყინულის მთაში, კეთილი მოხუცი მსუქანი სელაპი (ზღვის ლომი) დაბრუნდა შინ და დაჭყვირა საყვირით თავის ნიშანი: „ყველგან სიმშვიდეა“. იმავ წამს გამოჩნდნენ პატარა თევზები და დაიწყეს ცეკვა მთვარის გზაზე. იმათი ჟრიამული და ცეკვა მთელი ღამე არ შეწყვეტილა“.

— სად არის მთვარის გზა? რა უქნა ვეშაპმა პატარა თევზებს? საიდან იცოდა სელაპმა...

— შენ თვითონ იცი სადაც არის მთვარის გზა. მთვარის გზა ჰქვიან იმ გრძელ, ძლიერ გრძელ მთვარის შუქს, რომელიც ჩადის წყალში და იქამდის გრძელდება, სადამდისაც ჩასწვდება ადამიანის თვალი. მთვარის გზაზე ცხოვრება და თამაში შეუძლიანთ მხოლოდ ძალიან კეთილ და ბედნიერ პატარა თევზებს. შენ რომ შეგეძლოს იმათთან ახლო მისვლა, დაინახავდი როგორ დასრიალებენ ისინი და აჭყაპუნებენ თავიანთ ვერცხლის კუდებს.

— ვეშაპი და სელაპი ვინ არიან?

— სელაპი არის მცველი, რომელიც ყურს უგდებს წესიერებას ზღვაში. ის ძლიერ დიდია, მსუქანი და მედიდური საშინლად ეჯავრება ისეთი ყაჩაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორი ყაჩაღები?—დონალდს სახეზე აღელვება ეტყო და ლოყები არაჩვეულებრივად შეუწითლდნენ.

— აი, მაგალითად, ზღვის ვეშაპი. საქმე იმაში იყო, რომ ვეშაპი ჩუმად მიეპარა პატარა თევზებს და გასწკეპლა სამი ფერია, რომლებიც თევზებთან ცეკვავდნენ და რომლებიც არავის არას უშავებდნენ. ყველას შეეშინდა. პატარა თევზები წრიპინებდნენ, ფერიები ყვიროდნენ, ლოკოკინები კი უსტვენდნენ და ყველა სელაპს უძახოდა.

— ვეშაპი თანახმა იყო სელაპს გაჰყოლოდა?

— ოჰ, რასაკვირველია, ის გაიბუტა, გაიბერა, მაგრამ ყველა ზღვის ცხოველი, თვით უზარმაზარებიც კი დიდ პატივსა სცემენ კანონს და ამიტომ... ამიტომ...

ყმაწვილი ღობისკენ გაეშურა.

— უკვე მიდიხარ? —დონალდის ხმა საცოდავათ ჰკრთოდა?

— მივდივარ და, მგონი, შენც მალე წაგიყვანენ აქედან,—უპასუხა ყმაწვილმა,—აქეთკენ ვილაც მოდის.

— ხვალ ხომ ისევ მოხვალ, ბიჭიკო?

— გინდა, რომ მოვიდე?

— ოჰ რასაკვირველია, ძლიერ მინდა. შენი სახელი რატომ არ მითხარი?

— მე უკვე გითხარი ჩემი სახელი,—უპასუხა სიცილით ყმაწვილმა.

— სოლომონი ხომ არა გქვიან მართლა?

— სოლომონ ბრძენი,—და ყმაწვილმა მედიდურად დაუკრა თავი.

— ეგ სახელი სრულებითაც არ არის შენი შესაფერი!

— ჩემი შესაფერი არ არის?!

— არა! მე შენ „უცნაურ ყმაწვილს“ დაგარქმევ.

ყმაწვილმა გაიცინა.

— „უცნაური ყმაწვილი“! რა ვქნა, იყოს ნება შენი; ალბად დავიმსახურე ეგ სახელი. მაგრამ, იცი რა, ბიჭიკო, ნურავის ეტყვი, რომ მნახე. სჯობია მე შენი საიდუმლოება ვიყო. მაძლევ სიტყვას?

— გაძლევ.

ერთი წამის შემდეგ დონალდს მოესმა ღობის იქით მიმავალი ფეხის ხმა და იმავე დროს მასთან მივიდა ვილიამსი.

ნინო ნინიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მათეშვილი.

ჩვენმა ჟურნალმა „ნაკადულმა“ დაჰკარგა მოსიყვარულე, ერთგული თანამშრომელი გიორგი მათეშვილი, ბავშვების აღმზრდელი და მასწავლებელი. განსვენებული გიორგი ოცი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა, ეწეოდა ამ მძიმე შრომას, რომლის დიდი მნიშვნელობა კარგათ ესმოდა. 1906 წლიდან იგი თანამშრომლობდა ჟურნალ „ნაკადულში“, სარედაქციო კომისიის წევრი იყო. დანიშნულ დღეს, კვირაში ერთხელ, თავს მოიყრიდნენ ხოლმე რედაქციაში კომისიის წევრები და შეუდგებოდნენ მუშაობას. რედაქციას სხვა-დასხვა მხრიდან, სოფლებსა, დაბებსა და ქალაქებიდან მოსდიოდა ყოველნაირი დასაბეჭდი მასალა—ლექსები, მოთხრობები, სამეცნიერო წერილები და სხვა. სარედაქციო კომისიას უნდა წაეკითხა მთელი ეს მასალა და აერჩია დასაბეჭდათ გამოსადეგი ნაწერი. უნდა გენახათ, როგორ დინჯად ეკიდებოდა განსვენებული გიორგი ამ შრომას. როგორი ყურადღებით უსმენდა კითხვას, როგორი მოფიქრებით გამოსთქვამდა თავის აზრს იმის შესახებ, ვარგა თუ არა ესა თუ ის ნაწერი დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდად და რა ნაკლი და რა ღირსება აქვს. გიორგიმ კარგად იცოდა, თავისი პირადი გამოცდილებით, როგორც მასწავლებელმა, რომ ბავშვებს უყვართ ნაბეჭდი წიგნებისა და ჟურნალების კითხვა, იცოდა რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ ბავშვებს, იცოდა რა ცოდნაა მათთვის სასარგებლო და რა არის მავნებელი ბავშვებისათვის, იცოდა კარგად ყველა ეს, ყოველთვის ცოცხლად ეხატებოდა თვალწინ ბავშვების სახე, ამიტომ კომისიაში მისი ამხანაგები ყურადღებით მოისმენდნენ ხოლმე იმის აზრს ამა თუ იმ ნაწერის შესახებ, ვარგა იგი დასაბეჭდათ თუ არა, და თუ დასაბეჭდად გამოსადეგია, მხოლოდ რაოდენი ნაკლი აქვს, როგორ უნდა შესწორდეს, რა უნდა გამოეკლოს ან რა მიემატოს.

განსვენებული გიორგი სარედაქციო კომისიის წევრობასთან ერთად მწერლობასაც ეწეოდა, დრო-გამოშვებით მოქონდა რედაქციაში დასაბეჭდად თავისი ნაწერები, რომელთაც ბოლოში თავის სახელს, გიორგის, აწერდა. ყველა ეს ნაწერი ბავშვების ცხოვრებას შეეხებოდა, იმათი შინაარსი ბავშვებისათვის საგულისხმიერო იყო. ჩიტები, ფრინველები, შინაური ცხოველები, კატა, ძაღლი, ცხენი, ხარი—ხშირი სტუმრები იყვნენ გიორგის მოთხრობებში, რადგან ყველა ესენი გულით უყვართ ბავშვებს, მეტადრე იმათ, ვინც სოფელში ცხოვრებს, ხშირად ჰხედავენ ამ ცხოველებს, ხშირად თამაშობენ მათთან, მათთან ერთად იზრდებიან, შეჰხარიან ცხოველებს და ებაასებიან, როგორც თავის ტოლებსა და ამხანაგებს.

გიორგის მოთხრობებს რომ კარგად დააკვირდეთ, შეატყობთ, რომ იმასაც ახარებს დღესასწაულები—შობა, ახალი წელიწადი, აღდგომა,—რადგან ეს დღეები ბავშვების საყვარელი დღეებია. ბევრი რამ სასიხარულო ელის ამ დღეებში ბავშვებს—ჩურჩხელა, გოზინაყი, ნამცხვრები, შობის ხე, სტუმრები, მუსიკა, ცეკვა—თამაში, ყოველნაირი გართობა. ღიმ-მორევით, სიხარულით ასწერს, ხოლმე თავის მოთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებში ამ დღეებს ჩვენი ძვირფასი მწერალი. ჩურჩხელა, გოზინაყი, ნამცხვარი—ეს შედარებით პატარა რამ პირის ჩასატკბარუნებელი, დიდ რამედ იქცევა, ხოლმე გიორგის კალმის ქვეშ. პატარა რამ ტკბილეულობა—დიდი ამბავია ბავშვის ცხოვრებაში, გიორგიმ კარგად იცოდა ეს, და ამიტომ სწერდა ხოლმე ასეთი ალერსიანი ღიმილითა და სიხარულით.

მშვიდობიანი, დინჯი, წყნარი და მოსიყვარულე გიორგი აღარ გვყავს. მაგრამ დღეს იმისი ნაწერები რომ გადავშალე და გადავიკითხე, ვიგრძენ, რომ მწერლის ნაწერში იმისი ცოცხალი სული ტრიალებს, იმისი ღიმილით, იმისი გულის ცხოველი სხივითაა გაშუქებული ჩვენ ველარ ვიხილავთ გიორგის მშვიდობიან სახეს, იმის დინჯ თვალებს, იმის ცოცხალი, მოსიყვარულე სული კი ჩვენთან დარჩა, იმის ნაწერებში ცოცხლობს.

ილია ნაკაშიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ მეფის დრო

V

სამეფოს შინაური გამგებლობა. სამართალი, ვაჭრობა.

საქართველოს შინაურ საქმეთა გამგებლობის წესებში ბევრი არაფერი შეცვლილა და წინანდებურად რჩებოდა. ხოლო ახლა მეტ ყურადღებას აქცევდნენ ხალხის კეთილდღეობისა და ქვეყნის მოშენების საკითხს. უდიდესი საქმე რომელიც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწესა თამარ მეფემ ქვეშევრდომთათვის იყო მოწესრიგება ღარიბ-გლახაკთა საკითხისა: ჯერ ტახტზე ასვლისას გახსნა საპურჭლენი და გასცა წყალობა „და იხსნა მოვალენი ვალთაგან და მისცა ობოლთა და ქვრივთა კმასაყოფელი მათი“ მაგრამ თამარს ესმოდა, რომ ასეთი შემთხვევითი წყალობანი გლახაკთა დახმარების საკითხს ვერ გადასწყვეტდა და ამიტომ როგორც მოგვითხრობს მატიანე, შემდეგ ზომას მიმართა.

„გლახაკთათვის განაჩინეს სარწმუნონი ზედამდგომელნი და ყოველსა სამეფოსსა მისსა შემოსავალნი, რაცა იყო, შინათ და გარეთ ყოვლისა ნაათალი გლახაკთ მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცვალამდეცა და იმას ყოვლად არა გონებდა ქველს საქმედ მითვალვად წინაშე ღვთისა, რამეთუ რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად მყის აღიღის სასთველი და საკერავი და ნაშრომსა მას თვისსა ხელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფენ თავისითა ხელითა“

როგორც ვხედავთ ეს საკითხი თამარ მეფეს სახელმწიფო სერიოზულ საკითხად მიაჩნია და არა მხოლოდ საქველმოქმედო მნიშვნელობას აწერს მას. ქველმოქმედება მისი აზრით არის ის რაც შეიძლება ადამიანმა საკუთარ ძალთა მონაგარით გასწიოს. ამ მოსაზრებით ის ქსოვდა, ართავდა და კერვიდა და აქედან მოპოებულ ფულს არიგებდა. სამეფოს შემოსავლის ნაათალის გლახაკთა გადადებასთან ერთად გამოსცა ბრძანება და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ააშენებინა სასტუმროები და ფუნდუკნი ანუ თავშესაფარნი.

ხოლო ვახუშტის გეოგრაფიიდან ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე ფუნდუკი არსებობდა კოჯორის მახლობლად, რისთვისაც ამ ალაგს ეწოდა სამადლო. ამ თანხის გლახაკთათვის დასარიგებლად თამარ მეფემ დააწესა სარწმუნო ზედამდგომელნი.

ქვეყნის კეთილდღეობა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო თხოულობს მორწყვის საქმის მოწესრიგებას, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი მოსავალი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა. თამარ მეფის დროს ამ საქმესაც ყურადღებით ეკიდ ბოდნენ და მისი არხები ზოგი ამომშრალ - გაფუჭებული და ზოგი მომქმედი ახლაც არსებობენ.

მეტია თქმა, რომ ციხე ქალაქთა აშენებაც თამარის დროს დიდად გავრცელებული იყო და ესეც სამეფოს საამშენებლო საქმეს უნდა მიეწეროს.

ღვთის მოყვარული და ლმობიერი თამარი ვერ იტანდა უდიდეს უსამართლობას რომელიც გააჩინეს ადამიანებმა ის ვერ ეთვისებოდა ადამიანის სიკვდილით დასჯას, მან უარყო აგრეთვე ბარბაროსული სასჯელები ასოთა წარკვეთისა. უდიდესი სასჯელი მის დროს იყო ექსორია. რადგანაც ყველამ იცოდა მისი ლმობიერება, ამიტომ როდესაც დაიჭირეს გუზან აბულასანის ძე და მიგვარეს დავით სოსლანს, მან გასცა ბრძანება, სანამ თამარ მეფეს განმდგომილის დაჭერას გააგებინებდნენ, მისთვინ თვალები დაეწვათ. ესე, გუზან, ამბობს მატიანე, შეიპყრეს და მიიყვანეს დავით მეფისა წინაშე ხოლო მან უწყოდა დიდი შეწყალობა თამარისი, ამისთვის მისთა შეკითხვამდის თვალები დასწვა". აი რას ამბობს აღტაცებული ისტორიკოსი თამარ მეფის 12 წლის მეფობის შემდგომ: „ვითარმედ ამის განგებისა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტანჯგანაგი*) უბრძანა ვისსადმე დაკრვად, რამეთუ შორს იყო ყოვლისა მოსისხლეობისა და თვალთა დაბნელებისა და ასოთა მიღებისა, რომელითა უძრწოდა შიშნეულად ყოველი საბრძანებელი მისი მშვიდ იყო და მყუდრო და მშვიდობისა მყოფელი. ამისთვის იშვებს მშვიდობით სიტყვისაებრ საწინასწარმეტყველოსა; მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა". „მის დროს" განაგრძობს მატიანე, „არ იყო მიმძლავრებელი და მძლავრებული**) არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მზვარაკი. იტყოდა, ვითარ მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა და მოწყალებისათვის გეყავნ დადიანი ვარდან, ბოცოსძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდებულნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი, ვინათგან უდიდესნი საქმენი წინამდებობენ".

*) წვალება.

**) მჩაგვრელი და ჩაგრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სამეფოს კავშირი სხვა და სხვა სამეფოებთან ბერების, ლაშქრობისა თუ ძღვნობის საშვალებით რასაკვრიველია გამოიწვევდა ვაჭრობის განვითარებას. მართლაც ძალიან ხშირად ვხვდებით სხვა და სხვა ქვეყნის ნაშრომს და, სხვათა შორის, ალექსანდრიიდან მოტანილ მატყლსაც კი. ცხადია თუ ასეთი სიშორიდგან მატყლი მოჰქონდათ სხვა რამესაც ჩმოიტანდნენ. მეტად განვითარებული იყო აღებ-მიცემობა თვით საქართველოშიაც, არსებობდა ბანკები და სააქციონერო საზოგადოებანი რომლებიც დიდ ფულს ატრიალებდნენ.

VI

კულტურული მდგომარეობა, მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება.

სამეფოს ძლიერებისა და ეკონომიურ ზრდასთან ერთად, იზრდება გონებრივი განვითარება და ესთეტიური სიფაქიზე ქართველთა და თამარ მეფის ხანას შეხვდა ხანა აყვავებისა საქართველოს გონებრივ ესთეტიურ ცხოვრებისა. სამწუხაროდ აყვავების ხანას არ დასცალდა ნაყოფის გამოღება და ქართველთა სულიერი საუნჯე, რომელიც გროვდებოდა დავით აღმაშენებლის დროითგან თამარის შემდგომ ძალიან მალე გაიფანტა, განცალკევდა, დაღარიბდა და დამახინჯდა. მაგრამ ის ნაშრომნიც კი რომლებიც მათი ახლანდელი სახით ავტორებმა შეიძლება ვერც კი იცნან, მაინც იმდენად დიადია, რომ მათი მზგავსი ქართველ ერს ჯერაც არ შეუქმნია რა, ისინი იტაცებენ ადამიანის გონებას თავის აზრებით და ენის სილამაზით. თამარის დრომ მოგვცა ჩვენ უკვდავნი, სანამ არსებობს საქართველო, შოთა, ჩახრუხაძე, მთარგმნელი ს. თმოგველი და სხვანი. რომელი მწერალიც არ უნდა აიღო, ყოველ მათგანში ნათლადა სჩან განვითარება მეცნიერული, გონებრივი და გემოვნების. საქართველო თავისი მდებარეობის გამო ყოველთვის იყო ბერძენ-სპარსელების და არაბების საასპერეზო და მისთვის იბრძოდენ ეს მძლავრი სამეფოები და საქართველოც იძულებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ერთს დამორჩილებოდა და ხან მეორეს. რასაკვირველია. პოლიტიკურ გავლენას თან გონებრივი გავლენა მოჰყვებოდა. და მართლაც ამ მხრივაც საქართველო თითქოს ბერძნულ-ქრისტიანულ და სპარსულ-მუსულმანური მწერლობის საასპარეზო გახდა, ხოლო რამდენად მავნებელი და დამაქვეითებელი იყო საქართველოსათვის პოლიტიკური გავლენა, იმდენადვე სასარგებლო გამოდგა გავლენა გონებრივი. სწორედ ამ ორი მიმართულების გავლენის ქვეშ წარმოშობა ქართველის ნიჭმა ის ხელი-ხელ საგოგმანები მარგალიტები, რომლებშიც ქართველები ეხლაც თავისი ნიჭის საუკეთესო გამოხატულებას ჰპოებენ. ამ თხზულებებში ადამიანი ხედავს რომ მისი დამწერი მხატვარის გარდა იყო მეცნიერიც და ფილოსოფოსიც. ვეფხის ტყაოსნის შინაარსი, მაგალითად ნათლად გვიხატავს რამდენად მაღლა მდგარა თვით მწერალი და საზოგადოებაც რომელსაც ის მან მიუძღვნა.

შინაარსის მხრივ ჩახრუხაძის ხოტბები მართალია უფრო დაბლა დგანან, მაგრამ ქართული ენის მეცნიერების დედა ბოძი ნიკო მარი უფრო მაღლა აყენებს მათ, როგორც გამომხატველს თამარის დროის კულტურული და ნაციონალურ ინდივიდიალური ცხოვრებისა. მათში, ხოტბებში, ამბობს ის: „ჩვენ გვაქვს ერთად ერთი წყარო საქართველოს მე-XII საუკ. თავისებური კულტურის შესასწავლად. კულტურულ-ისტორიულ მხრით ეს წყარო დიდმნიშვნელოვანია არა მარტო იმ ლიტერატურულ ფაქტების ცნობებით, რომლებიც მხოლოდ მასში არიან, არამედ შთაბეჭდილებით რომელსაც ახდენს ადამიანზე მათი კითხვა, მე-XII საუკ. ქართულ საზოგადოების, რომელის გასართობათაც იწერებოდა ხოტბები, ყოველმხრივი და მეცნიერული განვითარების სასარგებლოდ. ამას გარდა ხოტბებში შენახულია დიდმნიშვნელოვანი ძეგლი ქართული სახელმწიფოებრივი აზრის განვითარების ისტორიისათვის. ხოტბანი რასაკვირველია იწერებოდნენ თამარ მეფის შესაქებად, მაგრამ ეს ქება გამსჭვალულია ცხოველმყოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიოტიზმით. პატრიოტიზმით არა ტენდენციოზური და წინასწარ მოფიქრებული თვით მწერალისა ან მასთან სოლიდარული პატარა ჯგუფისა. არამედ მთელი ეპოქა რომელშიაც ცხოვრებდა პოეტი წარმოადგენს უმაღლეს განვითარებას ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ და სამხედრო სიამაყისა და ისიც უნებლიედ იძლევა სურათს აზრთა განწყობილებისა, საქართველოს მოწინავე საზოგადოებისას, რომელიც ხალხიდან ჩამოშორებულ კასტას არ წარმოადგენდა".

პატრიოტიზმის ასეთ განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე ზედ მიწევნით განვითარება ხელოვნების სხვა დარგებისა. თამარის დროს ცხოვრებდნენ საქართველოს საუკეთესო ოქრომჭედელნი ბექა და ბეშქენ ოპიზარნი. ბექას მშვენიერად ნაჭედ ხატს შეუძლია აღტაცებაში მოიყვანოს ადამიანი და უჩვენებს მას რა სიმაღლეზე იდგა ეს ხელობა. თამარის მიერ აშენებული კაბენის მონასტერი სანამ არ დაანგრევდნენ შვენოდა საუცხოო ჩუქურთმებით. ვარძია ხომ ადამიანს ანცვიფრებს თავის სიდიადით და დიუბუასა და ბაქრაძის სიტყვებით შესამჩნევია თავის მხატვრობითაც. თამარის დროსვე აშენებული არა ნაკლები ნაშთი ხუროთმოძღვრებისა ბეთანია. უკანასკნელ ეკლესიაში შენახულია სრულიად ერთნაირი სურათი თამარ მეფისა, მეფე გიორგისა და ლაშასი.

თამარის ხანა საუკეთესო მაჩვენებელი ქართველი ერის უნარისა და ნიჭისა, საინტერესოა იმ პოლიტიკითაც რომელიც დაიწყო ბაგრატ მე-IV, განავითარა დავით აღმაშენებელმა და დაამთავრა თამარ მეფემ. ეს პოლიტიკა საქართველოს შეერთებისა და აბსოლიუტიზმის*) განვითარებისა, უფრო კარგად შეასრულა ლმობიერმა და დაყვევება-შეწყალების პოლიტიკამ თამარისა, ვიდრე ჯაშუშობისა და დაშინების პოლიტიკამ დავით აღმაშენებელისა. ეს კი მოხდა არა იმიტომ, რომ მათი პოლიტიკა ერთი ერთმანერთზე განსხვავდებოდნენ, არა-

*) აბსოლიუტიზმი—ერთსებობა, ხიმეფო უფლების განდიდება-გაძლიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ იმიტომ, რომ თვით საზოგადოება დავითის დროს და თამარის დროს დიდად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან. უფრო განვითარებული და მომწიფებული თამარის დროს, ის ხედავდა სარგებლობას სამეფოს გაერთიანებაში და აბსოლიუტიზმს ემსახურებოდა. საუკეთესო მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენენ უცხო ერის დიდებულნი მხარგძელნი, რომლებიც კარგად ხედავდენ რომ მათი ქვეყანაც—სომხეთი ბევრად უკეთ გრძნობდა თავს გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში, ვიდრე ცალკე სამეფოდ და ეს რწმენა მათ ხდიდა აბსოლიუტიზმის საუკეთესო მსახურებად, ამიტომაც მოხდა რომ აზნაურთა სურვილი: მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებით მეფის უფლება შეესუსტებინათ არ გამართლდა, რადგანაც თვით ის დიდებულნი რომელთაც მეფის უფლება უნდა შეესუსტებინათ გახდნენ სამეფო აბსოლიუტიზმის საუკეთესო მსახურებად და დედაბოძებად გაუხდნენ მას. ჩვენ რასაკვირველია ვგმობთ აბსოლიუტიზმს ეხლანდელ დროში, როგორც დამჩაგვრელს ადამიანის თავისუფლებისა, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა მას თამარის დროს. აბსოლიუტიზმმა შეჰკრა და შეაკავშირა საქართველოს დიდებულნი, ალაგმა ისინი და ხალხის ნიჭს მისცა საშვალება თავისი უნარი გამოეჩინა და ქვეყნიერობის ისტორიაში ქართველი ერი უმაღლეს საფეხურზე დაეყენებია; და ახლაც 700 წლის შემდგომ ქართველ ერს კარგად ახსოვს ეს ოქროს ხანა,—ქართული ნიჭის მშვენიერი ყვავილი და ახალი ყვავილების გამოცემის ლოდინში ეთაყვანება წარსულს, ეთაყვანება თამარ მეფეს, როგორც გამომხატველს ერის ცხოვრების საუკეთესო ხანისა, ბევრმა ქართველმა არც კი იცის, რომ თამარი გელათს არის დამარხული, მაგრამ ყველამ იცის ვინ არის თამარი და რა არის მისი ხანა ქართველის ეროვნულ თვითშემეცნებაში. ეს ხანა დიდებული ერისათვის კიდევ უფრო დიდებული და საინტერესოა ქართველი ქალისათვის, რადგანაც არც ერთ საუკუნეში გარდა ამ ხანისა ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი ქალი არ გამოსულა სამეფო სარბიელზე უფრო საპატიოდ და ღირსეულად.

გარდაიცვალა თამარ მეფე და მასთან ერთად ნელ-ნელა დასცვივდა ყველა ყვავილი საქართველოს გაფურჩქვნილ ხეს. განგება თითქოს უცდიდა თამარის სიკვდილს, რომ საამაყო და სათაყვანებელ მზრუნველთან ერთად გაენადგურებინა ყველაფერი რაც მან დასთესა. თამარ მეფის შემდგომ არა ერთმა მეფემ და მოღვაწემ შეალია მთელი სიცოცხლე და უნარი საქართველოს განახლების საქმეს, მაგრამ ბედი ჯერ კიდევ არ სწყალობდა ქართველებს და მათი ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. შვიდი საუკუნეა უქადაგებენ ქართველებს რომ დადგება დრო, დაჰბერავს სანეტარო სიო და საქართველო ისევ აღდგებაო, და ახლა საუკეთესო დრო დადგა, შემბორკველი ძალები რუსეთის მეფობრივი უფლებისა დაემხო და საქართველოს ფართე გზა გაეხსნა მომავალი ცხოვრების მოსაწყობათ. მომავალი გვიჩვენებს შესძლებს თუ არა საქართველო ისეთივე ადგილის დაჭერას კაცობრიობის შორის, როგორიც ეჭირა მას მე-XII საუკუნეში.

ი. ანთაძე.

(დასასრული).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარადები

(წარმოდგენილი პ. ნიორაძის მიერ)

I

ღარიბი კაცის სარჩოსა
თავი და ბოლო წაართვი,
დარჩენილსა კითხვა დართე,
შემდეგ კავშირი მიართვი;
სულ კარგი სათამაშოა,
ჭკუა თხელსა ვერ მივართვი.

(ახსნა—ჭადრაკი)

II

მის პირველი—ყველაფერს აქვს,
რაც კი სჩანს ან იფიქრება,
მას ბოლო ასო არ უნდა,
შარადაში იგი ჰქრება.
მეორე სიტყვას ხმაროობენ,
როცა ხილი ძალზე სტკბება
(ჩვენთვის მის ბოლო ხმიანად
ერთის მაგივრად სხვა სდგება)
საერთოდ იმას განაგებს
რისგანაც თვითონ შესდგება.

(ახსნა—სახელმწიფო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან.

ამ ნომრით რედაქცია ასრულებს გასულ საგამომცემლო წელს. მრავალ დაბრკოლებათა გამო, მან ვერ შესძლო უკლებლივ და თავის დროზე მიეწოდებია თავის მკითხველებისათვის გასული წლის „ნაკადულის“ ნომრები. მაგრამ რედაქცია პირნათლად სდგას მაინც მათ წინაშე, რადგანაც 1918 წ. განმავლობაში გამოცემული ნომრები გაცილებით მეტი დაუჯდა მას, ვინემ თორმეტი მანეთი; მხოლოდ სამწუხაროდ ის მიგვაჩნია, რომ ჩვენს მკითხველებს მოაკლდა სიამოვნება და გონებრივი საზრდო, რასაც მას, „ნაკადული“ აძლევდა. რედაქციას წრეულს იმედი აქვს საგამომცემლო პირობების გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესების გამო, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში უკლებლივ და თავის დროზე მიაწვდის თავის მკითხველებს „ნაკადულის“ ნომრებს.

„ნაკადულის“ რედაქცია.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეთუთხმეტე. **„ნაკადული“** წელიწადი მეთუთხმეტე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

ჟურნალი გამოვა თვეში ერთჯელ მცირე-წლოვანთათვის, 48 გვერდი და მოზრდილთათვის 64 გვერდი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**55** მან. ნახევარი წლით—**30** მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—**30** მან. მოზრდილთათვის—**30** მან. ფოსტის ადრესი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია. ტელეფ. 7—51.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან—ფოსტაში, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ⁄ ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი ⁄ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.